საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 75 (877)
პარასკევი, 6 მაისი, 1994 წელი
ფასი 5000 კუპონი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს

ძვირფასო ბატონო თავმჯდომარევ!

ამერიკელი ხალხის სახელით გთხოვთ მიიღოთ ჩემი მადლობა იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც გამოხატეთ ყოფილი პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

დარწმუნებული ვარ, რომ ნიქსონის ოჯახისათვის დიდი ნუგეში იქნება მთელ მსოფლიოში იმ ადამიანების ლოცვა, რომლებსაც ბატონ ნიქსონის სიტყვები და საქმეები შეეხო.

გულწრფელად

უილიამ ჯ. კლინტონი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ვაზის ნერგის, ყურძნის, ალკოჰოლიანი სასმელებისა და ეთილის სპირტის სასაქონლო წარმოებისა და რეალიზაციის სახელმწიფო რეგულირების შესახებ

ვაზის ნერგის, ყურძნის, ალკოჰოლიანი სასმელებისა და ეთილის სპირტის სასაქონლო წარმოებისა და რეალიზაციის სახელმწიფო რეგულირების უზრუნველყოფის მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შეიმუშაოს ვაზის ნერგის, ყურძნის, ალკოჰოლიანი სასმელებისა და ეთილის სპირტის სასაქონლო წარმოებისა და რეალიზაციის ლიცენზირების, დეკლარირებისა და სერტიფიცირების წესი.

2. შესაბამისი კანონის მიღებამდე აიკრძალოს ვაზის ნარგავების ამოძირკვა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დასკვნის გარეშე.

3. დაევალოთ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, ვაჭრობის მაკონტროლებელ, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სამსახურებს სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად დააწესონ ალკოჰოლიანი სასმელებით საცალო ვაჭრობის კონტროლი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

4. მხოლოდ ისეთ სათავსებში მოთავსებული ალკოჰოლიანი პროდუქციის რეალიზაცია განხორციელდეს, სადაც დაცული იქნება მისი შენახვისა და გაყიდვის დადგენილი წესები.

5. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ყურძნის წარმოებისა და ღვინის მრეწველობის რესპუბლიკური გაერთიანება „სამტრესტი“ გარდაიქმნას ამავე სამინისტროსთან არსებულ მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების რესპუბლიკურ გაერთიანება „სამტრესტად“ და დაეკისროს მას ვაზის ნერგის, ყურძნის, ალკოჰოლიანი სასმელებისა და ეთილის სპირტის სასაქონლო წარმოების, შენახვის, ჩამოსხმისა და მა[illegible] ბითუმად ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საკუთრების ფორმების მიუხედავად.

მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების რესპუბლიკურ გაერთიანება „სამტრესტს“ ძირითად ამოცანად განესაზღვროს:

დარგის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ნედლეულის სტაბილური ბაზის შექმნა, მათ შორის საკონიაკე სპირტის შევსება და სახელმწიფო საცავებში მათი მდგრადი გარდამავალი ნაშთების შექმნა, მევენახეობისა და მეღვინეობის ინტეგრირება, თავისუფალ საწარმოო-სამეურნეო ურთიერთობათა განვითარება და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა სამეურნეო საქმიანობის ლიცენზირება, რომლებიც ეწევიან ვაზის ნერგის, ყურძნის, ალკოჰოლიანი სასმელებისა და ეთილის სპირტის სასაქონლო წარმოებას, შენახვას, ჩამოსხმასა და ბითუმად ვაჭრობას, საკუთრების ფორმებისა და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, მათ შორის უცხოური ინვესტიციების მქონე საწარმოებისა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ;

საწარმოებისათვის დაშვებული ალკოჰოლიანი პროდუქციის წარმოებისა და გამოყენების კვოტების შესრულების კონტროლის განხორციელება წარმოებისა და რეალიზაციის მიზნობრივი პროგრამის შესაბამისად;

იმ საწარმოთა ერთიანი რეესტრის შედგენა და წარმოება, რომლებიც ეწევიან შესაბამის სამეურნეო საქმიანობას;

ალკოჰოლიანი პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ტექნოლოგიური დისციპლინის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

6. რესპუბლიკური გაერთიანება „სამტრესტის“ მიერ დაშვებული განრიგები სავალდებულოა შესასრულებლად დაქვემდებარებული საწარმოებისათვის.

7. ეთილის სპირტისა და ალკოჰოლიანი სასმელების სასაქონლო წარმოებისა და რეალიზაციისადმი სახელმწიფო კონტროლის დაწესების, დარგის განვითარების პროგნოზების შემუშავების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტმა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების რესპუბლიკურ გაერთიანება „სამტრესტთან“, სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს საწარმოებისა და ორგანიზაციების (საკუთრების ფორმის მიუხედავად) მიერ სავალდებულო სტატისტიკური ანგარიშის წარმოდგენის წესი.

8. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების რესპუბლიკური გაერთიანება „სამტრესტის“ ახალი დებულება.

9. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს განიხილოს „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში სათანადო ცვლილებების შეტანის საკითხი.

ე. შევარდნაძე.

ჟიული შარტავას უკვდავება

საქართველოსათვის თავდადებულ ვაჟკაცს ჟიული შარტავას 50 წელიწადი შეუსრულდა. ეს თარიღი დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით აღნიშნა ქართველმა ხალხმა.

საიუბილეო ღონისძიებები თბილისში, ვაკის სასაფლაოზე დაიწყო, სადაც ჟიული შარტავაა დაკრძალული. აქ თავი მოიყარეს მისმა ახლობლებმა, მეგობრებმა, პარლამენტის წევრებმა, მთავრობის წარმომადგენლებმა. მათ ყვავილებით შეამკეს გმირის სამუდამო სასუფეველი.

შემდეგ, ყიფშიძის ქუჩა 16ა სახლზე, რომელშიც ჟიული შარტავა ცხოვრობდა, გაიხსნა მემორიალური დაფა. ამ ცერემონიალში მიძღვნილ მიტინგს უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი, ჟ. შარტავას საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი მენაღარიშვილი. ჟიული შარტავას გმირობაზე ილაპარაკეს პოეტმა ლაშა ნადარეიშვილმა, საქართველოში მცხოვრებმა უკრაინელმა მებრძოლმა, გორგასლის ორდენის კავალერმა იგორ ტკაჩუკმა, რომელიც თავის შვილთან ერთად იბრძოდა სოხუმში, გაფთრებულ ბრძოლებში დაეღუპა პირმშო და სოხუმის მიწას მიაბარა. სიტყვა წარმოთქვა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს დაცვის ყოფილმა უფროსმა სერგო წურწუმიამ, რომელსაც სოხუმში შვილი დაეღუპა.

4 მაისს ჟიული შარტავას საიუბილეო საღამო გაიმართა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ დრამატულ თეატრში.

ყვავილებით მორთულ სცენაზე იყო გმირის უზარმაზარი პორტრეტი. საღამო გახსნა და ჟ. შარტავას პირად ზნეობრივ თვისებებზე ილაპარაკა ირაკლი მენაღარიშვილმა.

გმირის ხსოვნის საღამოზე სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ რეჟისორი გოგი ქავთარაძე (რომელიც შემდეგ უძღვებოდა საღამოს), სენაკის № 2 საშუალო სკოლის დირექტორი მანანა ცომაია, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია, მხატვარი თეიმურაზ გოცაძე, მსახიობი დიმიტრი ჯაიანი და სხვები.

სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. ჟიული შარტავას პიროვნების შესახებ თავისი აზრი მან ამ დღეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში — „მან უკვდავებაში გადააბიჯა“ გამოხატა. უაღრესად ემოციური და გულში ჩამწვდომი სიტყვებით მიმართა მან ჟიულის გამოსახულებას და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ როგორც უნდა წარმართულიყო მოვლენები იმ საბედისწერო დღეს, ჟიული მაინც ისე მოიქცეოდა, როგორც მოიქცა. მისი საქციელი მისი ბუნებიდან, მისი პიროვნული, ადამიანური თვისებებიდან გამომდინარეობდა. საქართველომ უნდა იამაყოს და იამაყებს კიდეც ასეთი შვილებით!

ჟ. შარტავას ფონდის თავმჯდომარემ რობერტ ღარიბაშვილმა დამსწრეთ გააცნო მურმან ომანიძის დეპეშა მოსკოვიდან, რომელშიც იგი იტყობინება, რომ გმირის ფონდში ჩარიცხა ათი ათასი ამერიკული დოლარი.

საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, ცხუმ-აფხაზეთის კათოლიკოსი მამა დანიელი, ქალაქების გალის და რუსთავის დელეგაციები.

პარლამენტის სხდომის დღიური

შორია... დისციპლინამდე

გუშინ პარლამენტში სხდომის დაწყების მაუწყებელი ზარი ზუსტად 10 საათზე აწკრიალდა. რეგისტრაციამ ელექტროტაბლოზე 40 დეპუტატის გამოცხადება აღნიშნა, თერთმეტის ნახევარზე კი სხდომა 122 დეპუტატის მონაწილეობით დაიწყო. თუმცა, დაგვიანებულთა ნაკადი კარგა ხანს აჭრიალებდა კარს და შესვენებამდე, როგორც იქნა, 168 დეპუტატმა მოიყარა თავი. მართალია, დღის მეორე ნახევარში დარბაზს 109-ღა შემორჩა, მაგრამ რას ვიზამთ, იმ ამომრჩევლების კისერზე იყოს ის ცოდვა, კაცს რომ არ უნდა და ძალად დეპუტატებენ (მართალია, ახლა ზოგადად ვლაპარაკობ, მაგრამ, როგორც პარლამენტში ითქვა, სისტემატურად გამცდენებისა და დამგვიანებლების სია მალე გამოქვეყნდება).

ერთი სიტყვით, ვიდრე პარლამენტის რღვევა უდისციპლინო პარლამენტართა წყალობით (და მათი რიცხვი არცთუ მცირეა, ყოველ შემთხვევაში, ქვორუმზე გავლენას ახდენენ) თვალში საცემი არ გახდა, დისციპლინის საკითხი დღის წესრიგში არ დადგა.

თითქმის წელიწადნახევრის საპარლამენტო საქმიანობის პრაქტიკამ აუცილებელი და საჭირო გახადა „დროებითი“ რეგლამენტის გადამუშავება და გუშინ, მორიგ სხდომაზე განსახილველად შემოიტანა კიდეც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი დეპუტატმა ოთარ მელქაძემ. იგი კენჭისყრით პირველი მოსმენით მიიღეს (მე-15 მუხლის გამოკლებით, რომელიც სპიკერის არჩევის წესსა და ვადას ითვალისწინებს).

პროექტში გათვალისწინებულია რიგი სიახლეები, შეთავაზებულია რამდენიმე ნორმა, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ კანონშემოქმედებით საქმიანობას სამუშაო პროცესის პლენარული სხდომებიდან კომისიებში და ფრაქციებში გადანაცვლებას. ასევე მექანიზმი, რომელმაც უნდა განაპირობოს კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმაზომიერი, ეფექტიანი წარმართვა.

ცალკეა „პასუხისმგებლობა რეგლამენტის დარღვევისათვის“, რომლის მიზანია პარლამენტართა პასუხისმგებლობის ამაღლება და ა. შ. პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი მომენტი კი, ვფიქრობთ, არის შიგასაპარლამენტო კონტროლის გაძლიერება.

დეპუტატმა გელა ნიკოლაიშვილმა განსახილველად სხდომაზე შემოიტანა საქართველოს რესპუბლიკის კანონპროექტი „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“, საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე. კერძოდ, მე-11 მუხლი ითვალისწინებს პარლამენტის წევრის მონაწილეობას პარლამენტის სხდომებში. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ პარლამენტის წევრი ვალდებულია ესწრებოდეს პარლამენტის სხდომებს (ვაი სირცხვილო, ამის შეხსენება რომ საჭირო გახდა!), რა ითვლება სხდომების გაცდენების საპატიო მიზეზად და წინააღმდეგ შემთხვევაში გათვალისწინებული სანქციები. შემოთავაზებული პროექტის განხილვას თითქმის დღის მეორე ნახევარი დასჭირდა. იყო სერიოზული მსჯელობაც და ირონიაც, ცხარე გამოსვლებიც და ხუმრობაც. კენჭისყრა კი სამშაბათისთვის გადაიდო.

გუშინდელ სხდომაზე პარლამენტმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე ნოდარ ჯავახიშვილის კანდიდატურას უყარა კენჭი და 134 ხმით დაამტკიცა კიდეც. სამაგიეროდ, უკვე მეორედ, ჩავარდა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის გიზო გელეიშვილის კანდიდატურა.

რუსუდან ლორთქიფანიძე,
„სრ“ საპარლამენტო კორესპონდენტი.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

პრინციპულობისა და მომთხოვნელობის სულისკვეთებით

საბაჟოები, რომლებიც სახელმწიფოს ეკონომიკურ საზღვრებს იცავენ, მისი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის, შრომის საერთაშორისო განაწილებაში მონაწილეობის რეგულირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენენ. ეს ჭეშმარიტება ლოგიკურად დადასტურდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 4 მაისს გამართულ სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა. სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტის, როგორც მმართველობის სახელმწიფო ორგანოს საკითხი, დაამტკიცეს მისი დებულება, სტრუქტურა, საშტატო განრიგი, სისტემაში შემავალ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ნუსხა.

მინისტრთა კაბინეტმა მოისმინა ანგარიში დასავლეთ საქართველოს ზონაში საგანგებო სიტუაციათა დროებითი კომიტეტის მუშაობის შესახებ, რომელიც წარმოადგინა მისმა თავმჯდომარემ, სახელმწიფო მინისტრმა გივი ლომინაძემ. შარშან ოქტომბრის დამლევს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით შექმნილმა ამ კომიტეტმა რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა აქტიური მონაწილეობით ბევრი რამ გააკეთა რეგიონში სტაბილური ვითარების აღდგენის, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და მართლწესრიგის დამკვიდრების, მოსახლეობის სოციალური და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფისათვის.

ამავე დროს, როგორც სხდომაზე აღინიშნა, ჯერ კიდევ არის ბევრი როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური პრობლემა, რომლებიც აწუხებს მოსახლეობას. დროებითმა კომიტეტმა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს მუშაობა მის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად, კანონთა, აგრეთვე სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებათა და განკარგულებათა, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციისათვის. მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას სპეციალური სამთავრობო კომისია გივი ლომინაძის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალება ახლახან სენაკში მომხდარი დივერსიული აქტის — ადგილობრივი გამგეობის შენობაში გაჩენილი ხანძრის გამოძიება.

სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა აქტუალური საკითხებიც. კერძოდ, პრინციპული და მომთხოვნელი სჯა-ბაასი გაიმართა იმაზე, რომ საქართველოს ნავთობიან რაიონებში საგარეჯოსა და გარდაბნის რაიონებში გრძელდება ნავთობპროდუქტების დატაცება და კერძო პირთა მიერ კუსტარული მეთოდით მათი უკანონო გადამუშავება.

აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დღემდე თავი ვერ გაართვა სახელმწიფოს მეთაურის განკარგულების შესრულებას რესპუბლიკაში მოპოვებული ნავთობის უკანონო გადამამუშავებელთა საქმიანობის აღკვეთის შესახებ, მინისტრთა კაბინეტმა ამ სამინისტროს, რესპუბლიკის პროკურატურას მოსთხოვა უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ აღნიშნული განკარგულების შესრულება. ამასთან, ცნობად მიიღეს მათი ხელმძღვანელების დაპირება, რომ ამგვარ უკანონობას ბოლო მოეღება. რასაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ნავთობის დატაცებისა და მისი უკანონო გადამუშავებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ იუსტიციის სამინისტროს მომზადებულმა კანონის პროექტმა, რომელიც უკვე წარუდგინეს დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტს.

ედუარდ ედიბერიძე.

თურქეთს გაემგზავრნენ

დღეს, 6 მაისს, თბილისიდან თურქეთის დედაქალაქ ანკარაში გაემგზავრნენ საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები თურქეთში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბატონ ნოდარ კომახიძის მეთაურობით.

საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს ამოქმედება ამ უახლოეს დიდ მეზობელ ქვეყანაში ისეთ პოლიტიკურ მოვლენათა რანგს განეკუთვნება, უდიდესი მნიშვნელობა რომ აქვთ ჩვენი ქვეყნის ეროვნული, სახელმწიფო-პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ინტერესების უზრუნველყოფისათვის.

საქართველო-თურქეთის თვისებრივად ახალი სახელმწიფოებრივი ურთიერთობები, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური და უკვე ფართოდ გაშლილი ურთიერთობა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრების ინტერესები ყველა ქვეყნის ერთიან ძალისხმევას მოითხოვს და საქართველო მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს ამ ახალ ურთიერთობებში, — განაცხადა გამგზავრების წინ საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა თურქეთში პროფესორმა ნოდარ კომახიძემ.

თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს პრესსამსახური.

მეზობელო კარისაო...

საქართველო-თურქეთის ურთიერთობის თვისებრივად ახალი ეტაპი

გამომცემლობა „სამშობლომ“ დასტამბა წიგნი „მეზობელო კარისაო“, რომელიც საქართველოსა და თურქეთს შორის ბოლო წლებში დამყარებულ თვისებრივად ახლებურ ურთიერთობებს ეხება.

წიგნის ავტორია საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში პროფესორი ნოდარ კომახიძე.

სახელმწიფოთა შორის მეზობლობას მაღალი ღმერთი აწესებს, — წერს ავტორი წიგნის შესავალში, — ადამიანთა თაობების ძალისხმევა კი უნდა ემსახურებოდეს კეთილმეზობლობის, ურთიერთნდობის ატმოსფეროს დამკვიდრებას ხალხებსა და ქვეყნებს შორის და რაოდენ ნიშანდობლივია, რომ სწორედ ასეთი თვისებრივად ახლებური მიდგომა დაედო საფუძვლად სუვერენული საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკების ურთიერთობას მათი თანამშრომლობის ამ ახალ ეტაპზე, რომელსაც ედუარდ შევარდნაძემ და სულეიმან დემირელმა ჩაუყარეს საფუძველი, როცა ქართველი და თურქი ხალხების სახელით ხელი მოაწერეს თბილისის ხელშეკრულებებს ორ ქვეყანას შორის და ამით მათ დიდი მოვალეობა და პასუხისმგებლობა იტვირთეს თურქი და ქართველი ერებისა და ისტორიის წინაშე...


ნოდარ კომახიძე
მეზობელო კარისაო...
საქართველო-თურქეთის ურთიერთობის თვისებრივად ახალი ეტაპი

წიგნში „მეზობელო კარისაო“ გაანალიზებულია საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა პერსპექტივები, ის როლი, რომელიც საქართველომ თავისი სტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდებარეობით უნდა შეასრულოს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ქრისტიანულ და მუსლიმანურ სამყაროს შორის, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.

ორ ქვეყანას შორის მეგობრული, კეთილმეზობლური, ურთიერთსასარგებლო თანაარსებობის ისტორიული აუცილებლობა ლეიტმოტივად გასდევს ნოდარ კომახიძის ამ წიგნს, რომლის რედაქტორია შიო ლარცულიანი.

საქართველოს ეხმარებიან მსოფლიოს ქვეყნები

როგორც საქართველოს რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში პეტრე ჩხეიძემ გვაცნობა, გაეროს უშიშროების საბჭოს და გენერალური მდივნის მიმართვების შესაბამისად დონორი ქვეყნები განაგრძობენ დახმარების აღმოჩენას შეიარაღებული კონფლიქტებით თუ სტიქიით დაზარალებული სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობისადმი. შესაბამისი პროგრამა შემუშავებულია საქართველოსთვისაც, როგორც ჰუმანიტარულ საკითხთა დეპარტამენტის, ასევე გაეროს სხვა სტრუქტურების ხაზით.

29 აპრილს გაერომ გამოაქვეყნა საგანგებო მიმართვა კავკასიის სამი რესპუბლიკის — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კონფლიქტით დაზარალებული 1,4 მილიონი მოსახლეობისათვის 100 მილიონი დოლარის სასურსათო დახმარების პროგრამის დაფინანსების უზრუნველყოფის შესახებ.

საგანგებო, მრავალმილიონიანი პროექტი მუშავდება გაეროს განვითარების პროგრამის მიერ, რომელმაც უკვე დანიშნა თავისი წარმომადგენელი საქართველოში. გაეროს ბავშვთა ფონდმა 28 აპრილს დაამტკიცა პროგრამა, რომელიც უახლოეს პერიოდში რესპუბლიკის ბავშვებისათვის 4 მილიონი დოლარის დახმარებას ითვალისწინებს.

აღნიშნული ორგანიზაციების გარდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ მოწოდებული მოთხოვნების საფუძველზე საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობას სისტემატური კონსულტაციები აქვს დონორი ქვეყნების წარმომადგენლებთან გადაუდებელი აუცილებლობის პროდუქტების მოწოდების საკითხებზე.

იტალიის მუდმივი წარმომადგენლის ცნობით მისმა მთავრობამ საქართველოს დასახმარებლად მიიღო გადაწყვეტილება პირველ ეტაპზე 7 მილიარდი ლირის (4,2 მლნ. დოლარი) ღირებულების პროდუქციის მოწოდების თაობაზე, რაც „მსოფლიოს სასურსათო პროგრამის“ ხაზით განხორციელდება.

ამასთან იტალიის წარმომადგენელმა დაადასტურა მისი მთავრობის მიერ საქართველოს ხელმძღვანელობისა და ხალხის შემდგომი დახმარებისათვის მუდმივი ძალისხმევის სურვილი ორ ქვეყანას შორის არსებული კეთილი ურთიერთობის საფუძველზე.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის სათათბიროს

განცხადება

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის სათათბირომ გააკეთა განცხადება აფხაზეთის განთავისუფლების კავშირის თავმჯდომარის ბორის კაკუბავას მიერ საქართველოს მოქალაქეთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელების მიმართ ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი გამოსვლების გამო.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ბატონ ბორის კაკუბავას მიზანია აფხაზეთის ერთადერთი ლეგიტიმური სახელმწიფო ორგანოს — მინისტრთა საბჭოს დისკრედიტაცია, რაც დიდი ხანია აშკარად ხორციელდება პირადი ძალაუფლების მოსაპოვებლად, მინისტრთა საბჭოს პარალელური სტრუქტურების შესაქმნელად.

საქართველოს სხვა ოპოზიციურ ძალებთან ალიანსით აფხაზეთის განთავისუფლების კავშირს წამოწყებული აქვს სახიფათო პოლიტიკური თამაში, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს განხეთქილება საზოგადოებაში, ხელისუფლებასთან ახალი დაპირისპირება.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაცია, ჯეროვან პატივს მიაგებს რა აფხაზეთის განთავისუფლების კავშირის წევრთა დიდი ნაწილის ჭეშმარიტ პატრიოტულ სულისკვეთებას, იზიარებს რა სამშობლოდან დევნილი და უსახლკარო ადამიანების გაჭირვებასა და ტკივილს, ხელისუფლებასთან ერთად ყოველნაირად ცდილობს უხმაუროდ აკეთოს მთავარი — ღირსეულად დააბრუნოს დევნილები მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში.

გვჯერა, რომ ყველა სიძნელის მიუხედავად, აფხაზეთიდან დევნილი ჩვენი ბრძენი ხალხი, რომელმაც საკუთარი გამოცდილებით იცის, თუ რა არის პოლიტიკური ავანტიურიზმი, ჯეროვან პასუხს გასცემს გამთიშველებს ყველგან და ყველა დონეზე.

ჩვენ მხოლოდ გაერთიანება, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, ხელისუფლებისა და მთელი საქართველოს მხარდაჭერა და თანადგომა დაგვაბრუნებს აფხაზეთის მრავალტანჯულ, წინაპრებისა და ჩვენი თაობის სისხლით მორწყულ მიწაზე.

სოფელს მივხედოთ, სოფელს!

სენაკის რაიონში, ისე როგორც მთელ საქართველოში, კარგა ხანია გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა. უკანასკნელი ხუთიოდე წლის განმავლობაში მიმდინარე ვნებათაღელვის ერთგვარი სტაბილიზაციის შემდეგ მოსახლეობამ როგორღაც ამოისუნთქა და მშვიდობიან შრომას მოჰკიდა ხელი.

გვესაუბრება სენაკის რაიონის აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსი მურმან ბელქანია.

ვადები იწურება, სამუშაოები ჭიანურდება

— სათანადო ღონისძიებანი განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურების სრულყოფისათვის, დღეისათვის რაიონში 16 სახელმწიფო მეურნეობა, 18 კოოპერატიული საწარმო, 15 გლეხურ-ფერმერული მეურნეობა და 2 აგროფირმაა.

სამწუხაროდ, რაიონის მშრომელებმა ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრეს შარშანდელი სამეურნეო წელი; თუნდაც მხოლოდ მეჩაიეობა ავიღოთ: ნავარაუდევი 6200 ტონის ნაცვლად მოკრიფა 2522 ტონა ფოთოლი. პლანტაციებიც მოუვლელია: არ განხორციელებულა სათანადო აგროღონისძიებები, სამი წელია არ გასხლულა, არ შეუტანიათ მინერალური სასუქები.

რაიონში ჩაის პლანტაციები შემორჩა 1400 ჰექტარზე, ციტრუსოვნებისა — 133 ჰექტარზე. როგორც ჩაის, ისე ციტრუსების პლანტაციები დღეისათვის მინერალური სასუქების შეტანით არის დამუშავებული. 10000 ჰექტარს აღემატება რაიონში სახნავი ფართობები, აქედან 70 პროცენტი კერძო სექტორს უკავია. მიუხედავად დიდი ხარვეზებისა, თითქმის დამთავრებულია მიწის პრივატიზაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სახნავი ფართობებიდან ნახევარზე მეტი სამელიორაციო სამუშაოების შედეგად იყო დაშრობილი, მაგრამ იმის გამო, რომ რამდენიმე წელიწადია არხები არ ამოწმენდილა, ამ ფართობების 60 პროცენტი კვლავ დაჭაობებულია, და აუცილებელია ამ სამუშაოების დაუყოვნებლივ ჩატარება.

რაიონში სავალალო მდგომარეობაშია მეცხოველეობა. თუ 1[illegible] წელს საზოგადოებრივ მეურნეობებში იყო 6300-ზე მეტი სული პირუტყვი და 10000 სული ღორი, დღეისათვის შემორჩა 160 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და 118 სული ღორი. თუ 3000 ტონაზე მეტ ხორცსა და 37000 ტონამდე რძეს ვაწარმოებდით, დღეისათვის ამ პროდუქტებს საერთოდ აღარ ვაწარმოებთ.

რაიონში ფუნქციონირებდა რესპუბლიკაში ცნობილი მეფრინველეობის რეპროდუქტორი და ფაბრიკა, სადაც ჰყავდათ 250 ათასზე მეტი ფრთა ფრინველი, აწარმოებდნენ 500 ტონაზე მეტ ხორცსა და 12 მილიონზე მეტ კვერცხს. დღეისათვის ამ პროდუქტების წარმოება რაიონში საერთოდ აღარ არის. თუ რაიონის მოსახლეობაში სხვადასხვა სახის 34000 სულზე მეტი პირუტყვი იყო, დღეისათვის ის 9 ათას სულს ვერ აღწევს.

მიუხედავად რაიონში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა, მოსახლეობა მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი და თუ მინიმალურად მაინც მოგვარდება საწვავით, შხამქიმიკატებით, სასუქით მომარაგების პრობლემა, სოფლის მშრომელები წლეულს შეძლებენ აწარმოონ 6300 ტონა ჩაის ნედლეული, 250 ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი, 6000 ტონა სიმინდის მარცვალი, 400 ტონა სოიო, 25 ტონა აბრეშუმის პარკი, 400 ტონა ბოსტნეული და სხვა პროდუქტები.

რაიონის მეურნეობები ძირითადად უზრუნველყოფილია საჭირო რაოდენობის სიმინდის თესლით. არა გვაქვს 25 ტონა სოიოს თესლი, რომლის გამოყოფასაც დაგვპირდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროდან, მაგრამ... დრო კი გადის. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უხვ მოსავალს უსასუქოდ ვერ მიიღებ. „საქსოფლნაყოფიერების“ რაიონულმა განყოფილებამ (უფროსი — იაკობ ადამია) კი ვერ მოიმარაგა ფოსფორკალიუმიანი სასუქები უსახსრობის გამო. სესხი კი, ჯერჯერობით, არ ჩანს.

უნდა ითქვას, რომ რაიონი მკვეთრად ჩამორჩება საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობით. ამას კი, საწვავის უქონლობასთან ერთად, ხელს უშლის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმცირე. რაიონში სულ სხვადასხვა მარკის 211 ტრაქტორი ირიცხება, რომლის 55 პროცენტი „განკულაკებულია“. მის აღდგენას ვერ ვახერხებთ მარაგნაწილების უქონლობის გამო. რაიონში ადრე არსებული კეთილმოწყობილი მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმო განადგურებულია და უპატრონოდ არის მიტოვებული.

რაიონის აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსის სიტყვების სისწორეში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან, დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციის ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარესთან გივი ლომინაძესთან და სენაკის რაიონის გამგებელთან ტარიელ დებუაძესთან ერთად გოლასკურში მინდვრის სამუშაოების მიმდინარეობის დათვალიერებისას დავრწმუნდი. იმ დღეს სიმინდის დასათეს 100-ჰექტარიან მასივს 7 ტრაქტორი ხნავდა. მართალია, დიდი გაჭირვებით, მაგრამ ტრაქტორებისთვის საწვავს მაინც ვშოულობთ, ხვნას მალე დავამთავრებთ და სიმინდის თესვასაც შევუდგებითო, გვითხრეს სოფლის თავკაცებმა.

მაგრამ როგორც რაიონის აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსმა მურმან ბელქანიამ გვითხრა, თესვისათვის ნიადაგის მომზადების სამუშაოები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს ლეძაძამის, უშაფათის, ზემო ფოცხოს, გეგეთის, კოტიანეთის, ნოქალაქევის, ჭალადიდის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. ჩამორჩენის მთავარი მიზეზი საწვავის დეფიციტია.

რაიონში შედარებით უკეთ მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების გამარგვლის, გასხვლის, მინერალური სასუქების შეტანის სამუშაოები. სამწუხაროდ, ამ საქმეშიც ბევრია ჩამორჩენილი.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ნორმალურად წარმართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სასწრაფოდ გადაწყდეს საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის შეღავათიანი სესხების გამოყოფის საკითხი, რათა დროულად მოგვარდეს საჭირო რაოდენობის სასუქების, შხამქიმიკატების, საწვავის და ტექნიკის სათადარიგო ნაწილების შეძენისა და შემოტანის პრობლემა.

იოსებ გოგეჩია,
„სრ“ საქ. კორ.

მერვე სვეტი

შეხვედრა თბილისის პოლიციის შეფთან

თბილისის ჟურნალისტთა სახლში მოეწყო შეხვედრა დედაქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსთან, გენერალ-მაიორ დემურ მიქაძესთან. შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე აკაკი სიხარულიძე.

ბატონმა დემურ მიქაძემ აღნიშნა, რომ 15 მაისიდან ოფიციალურად დაიწყება იარაღის რეგისტრაცია. რეგისტრირებული იარაღის მფლობელს უფლება ექნება იგი ბინაში შეინახოს, მაგრამ აკრძალულია ამ იარაღის ქუჩაში ტარება, წინააღმდეგ შემთხვევაში უმკაცრესად დაისჯება.

ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელმა თქვა, რომ დედაქალაქში წესრიგის დაცვას ართულებს საპასპორტო რეჟიმის მოშლაც. დანაშაულში ხშირად იმხილებიან სწორედ ის პირები, რომლებიც არ არიან თბილისში ჩაწერილი.

შეხვედრის დასასრულს გენერალ-მაიორმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

გულიკო მარკოზაშვილი.

შეაჯამეს შედეგები

თელავში გაიმართა კონტროლის პალატის კახეთის რეგიონული თათბირ-სემინარი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მიხეილ ჩიკვილაძე, შესაბამის ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და რაიონის გამგებლები. თათბირ-სემინარის მონაწილეებმა გააანალიზეს რესპუბლიკის ადგილობრივი რაიონული კონტროლის პალატების ორწლიანი მუშაობა.

საქინფორმის ლენტიდან

ქუთაისი. საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ინტერესები პირველად წარადგინა საერთაშორისო გამოფენაზე სან-ფრანცისკოში ქუთაისის საფეიქრო-აბრეშუმის გაერთიანების კოლექტივმა. სტენდმა, რომელზეც გამოფენილი იყო კოლხური აბრეშუმის ნიმუშები, გამოფენის მონაწილე ქვეყნების ბიზნესმენთა დიდი ინტერესი გამოიწვია და სპეციალური პრემია მიენიჭა.

რუსთავი. რუსეთის საწარმოებთან ურთიერთობის მოგვარების შემდეგ გაჭიანურებულ კრიზისს თავი დააღწიეს რუსთავის ქიმიური მრეწველობის საწარმოებმა. რუსთავის გაერთიანება „აზოტის“-მარკიანი ასობით ტონა მინერალური სასუქი გაიგზავნა ჩვენი რესპუბლიკის მინდვრებსა და პლანტაციებში, აბრეშუმის, მატყლისა და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში კი ქიმიური ბოჭკოს ქარხანამ გაგზავნა მილიონ მანეთისაზე მეტი ხელოვნური ძაფები.

ტყიბული. ტყიბულის შახტებში მოაწყვეს ტექნიკურ სიახლეთა ესტაფეტა, რომელსაც პირობითად „პროგრესი“ ეწოდა. აღმოფხვრეს რა საუწყებათაშორისო ბარიერები მოწინავე გამოცდილების გავრცელების გზაზე, ისინი მეშახტეებს ეხმარებიან კრიზისიდან გამოსვლაში, ქვანახშირის მოპოვების ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო მაჩვენებელთა მიღწევაში. ამ მნიშვნელოვანი და საინტერესო საქმის ინიციატორები არიან № 5 და მინდელის სახელობის შახტები.

ახალციხე. მრეწველობაში საშენ მასალათა გამოყენების კატალიზატორთა მატარებლების მიღების ახალი ტექნოლოგია შეიმუშავეს კისატიბში — ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთსამმართველოში. ეს ცემენტის, თაბაშირის, სხვა მასალების წარმოებისას, აგრეთვე ქიმიური რეაქტივების გამოშვებისას შესაძლებლობას მისცემს თავიდან აიცილონ ზედმეტი საწარმოო ოპერაციები, მაგრამ, რაც მთავარია, აუმჯობესებს ხარისხს, ზრდის პროდუქციის სიმტკიცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ შრომა გადაგვარჩენს!

დავაჩქაროთ ქვეყნის ინფრასტრუქტურის რაციონალური მოწყობა

ამ ბოლო წლებში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მწყობრი რითმის უზრუნველი ცხოვრება კალაპოტიდან ამოვარდა სხვადასხვა მიზეზის გამო. ზოგიერთ მცირე თუ დიდ ერს თვითგამორკვევა ან თავისი სტატუსის გადახედვა მოუნდა; სხვას კეთილი მასპინძლის ტერიტორიის წაგლეჯა, თავიანთი ამბიციების დაკმაყოფილება... ამ დროს გამოჩნდნენ ე. წ. „მცირე ერების" გულშემატკივარი დიდი ერები, რომლებიც თავიანთ საქმეს სწორედ ამ „მცირეთა" ხელით და მათ ხარჯზე აკეთებენ. რამეთუ მრავალია ამ ქვეყნად უმეცარი, რომელიც ერთი დღის, წლის ან თუნდაც რამდენიმე წლის წარმატებით დაბრმავებულ მომავალს აზრს ვერ გააყოლებს. ვერ გაიაზრებს, თუ რა მოხდება გარკვეული წლების შემდეგ, რომ სამართალი თავის გზას მაინც იპოვნის, სანთელ-საკმეველი ერთმანეთს არ დაკარგავს. ამ დროს კი იჩაგრება მცირე, გაბრიყვებული და წამით გაყოყოჩებული ექსტრემისტებს აყოლილი ხალხი, რომელსაც ისტორია თავის მსჯავრს გამოუტანს.

ასე დაემართა ჩვენს საყვარელ სამშობლოს — საქართველოს, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობს მრავალი ეროვნების წარმომადგენელი. ქართველთა გარდა ყველა დანარჩენი აქ მოსულია და საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ქვეყანა მათთვისაც სამშობლო და სამკვიდრო გამხდარა. ქართველი კაცი მოსულს — სტუმარს, ყოველთვის ხელგაშლილი და გულგახსნილი ხვდებოდა. აძლევდა მათ ცხოვრების, გამრავლებისა და სულიერი დაკმაყოფილების საშუალებას. ამ ერებს შორის ზოგიერთი ახლად მოსულია, ზოგს კი 25—30 საუკუნეა ქართული მიწა უწევდა დედობას.

ამ ერებს შორის მხოლოდ ქართველმა ებრაელებმა დაინახეს ქართველთა სიკეთე, თანადგომა და ძმობა. დანარჩენებს რატომღაც ხშირად უჩნდებათ ცრუისტორიული სინდრომი, თითქოს აქ მათი ძველი სამკვიდრო უნდა ყოფილიყოს. აღნიშნული იწვევს ამ ქვეყნის ნამდვილ მკვიდრთა შინაგან დაძაბულობას, დაპირისპირებას და გულის ტკივილს.

ყოველივე ზემოთქმული გააღვივა და დააჩქარა იმ პროცესებმა, რომლებიც განვითარდა საბჭოთა კავშირის ხელოვნური ე. წ. ზემოდან დაშლის ფონზე, რომელსაც მის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებანი სხვადასხვა დონის მომზადებით, შეგნებითა თუ მოცდის პოლიტიკით შეიარაღებული შეხვდა. ჩემი აზრით, ყველაზე მოუმზადებელი ასეთი „გადასვლისათვის" ქართველი ერი აღმოჩნდა. ჩვენი ქვეყნის მაშინდელ მესვეურებს — კომუნისტებსა თუ შემდეგ მოსულ ეროვნულს — არ ეყოთ იმდენი სიბრძნე და მოთმინება, რომ ისტორიის მსვლელობისათვის არ გაგვესწრო და მოვლენებს მივყოლოდით. საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაცია მაინც მიდიოდა და ამ დროს ურჩი კაცის როლში გამოსვლამ მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაგვაგდო. გაიმარჯვა ჩვენი ერისათვის ყველაზე უფრო მძიმე — ე. წ. ქუჩის სინდრომმა, როცა ხელისუფლების სათავეში მოსულმა ეროვნული მოძრაობის მესვეურებმა ხალხი ქუჩაში გამოიყვანეს და თანდათან გადააქციეს ქუჩის მოთაყვანეთა ბრბოდ, რომელსაც ვერ მართავენ გონიერი მოაზროვნეები და ადვილად მართავენ თავზეხელაღებული, ისტერიული და ეგზალტირებული მოთავეები, რადგან ესენი ისეთ არგუმენტაციებს იყენებენ იარაღად, რაც ადვილად მიდის ბრბოს შეგნებამდე — ნაციონალისტური, ისტერიულ-ცრუპატრიოტული ქვენაგრძნობები. ამ ქვენაგრძნობებმა გამოიწვია იმ ძალების ასპარეზზე გამოსვლა, რომლებიც ეროვნულს ამოფარებული პირადი განდიდებისა და გამდიდრებისთვის ყველაფერს კადრულობს — ბანდიტობს, ქურდობს, მარადიორობს, ნარკომანობს... ამ დროს ყოველივე ეს კეთდება თითქოს საქართველოს ინტერესებისათვის. ასეთ ცრუპატრიოტიზმს ამოფარებული მოძრაობა თავის რიგებში მიიზიდავს ჭეშმარიტ პატრიოტებსაც და სწორედ ისინი ეწირებიან სამშობლოს კეთილდღეობას და მოპოვებლობით მოგებული რჩება კრიმინალური სამყარო.

ქვეყანა რომ ძლიერი იყოს, ის ერთიანი, ასე თუ ისე მდიდარი, ინტელექტის მაღალი დონის მქონე მშრომელი მოსახლეობით უნდა იყოს დასახლებული. მას უნდა ჰყავდეს ერთსულოვანი, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული, თავდადებული არმია, და რაც მთავარია, მის ძლიერებას კვებავდეს მრავალრიცხოვანი არმია მშრომელებისა, რომლებიც თავის უნარს, ღონეს, ცოდნასა და მონდომებას არ დაიშურებს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ის, რაც ჩამოვთვალე, თითქმის ყველაფერი აკლია დღეისათვის ჩვენს საყვარელ საქართველოს. დარღვეულია ერთიანობა და ამის მიზეზად ჩვენი დაქსაქსულობა, შიდა აშლილობა მიმაჩნია, რომელსაც ყველაზე საშინელი სენი უდევს საფუძვლად — რაციონალური, თავდადებული და უზოგავი შრომის უგულებელყოფა.

საქართველოს თითქმის ყველაფერი აქვს, რაც ერთ პატარა ქვეყანას სჭირდება, მაგრამ ამჟამად არ გააჩნია მის მოსახლეობას თავდაუზოგავი შრომის სურვილი. ეს იქნება სოფლად თუ ქალაქად, სულერთია!

არ მინდოდა მომეყვანა იაპონიის მაგალითი, რომელიც ტრაფარეტული გახდა, მაგრამ ის თვალნათლივაა. ქვეყანას, რომელსაც თითქმის არ გააჩნია საკუთარი რესურსები, — რკინის მადანი შემაქვს ათასობით კილომეტრით დაშორებული ავსტრალიიდან, ქვანახშირი ამერიკის კონტინენტიდან, ნავთობი — სპარსეთის ყურიდან, აქვს ასეთი მაღალგანვითარებული მრეწველობა, კულტურა და ინტელექტი. შედეგად ცხოვრების ძალზე მაღალი დონე.

ყოველივე ამის წინაპირობა ყალიბდებოდა ისტორიის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში, მაგრამ ამ პროცესს მძლავრი ბიძგი მისცა ქვეყნის მეორე მსოფლიო იმპერიალისტურ ომში სასტიკმა დამარცხებამ. აქ ხაზი უნდა გაესვას სწორედ მარცხის ფაქტორს ერის გამოღვიძება-აღორძინების საქმეში.

ადამიანის ცხოვრება არც ისე ხანგრძლივია, რომ რევოლუციური გადასვლები რამდენჯერმე განვაცდევინოთ და ამით მისი ცხოვრების ნორმალური რიტმი და წესი ამოვაგდოთ კალაპოტიდან, უკეთეს შემთხვევაში მეოთხედი საუკუნით და თითქმის ნახევარი საუკუნით და უფრო მეტით, როცა საზოგადოება ვერ მოერგება ცხოვრების ახალ წირს. შრომის როგორი რიტმი და მიზანდასახულობა ჰქონდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეს — მოქმედებდა შრომის გარკვეული სტანდარტი, ნიველირებული მოთხოვნებით, და როცა დაინტერესება თითქმის გამორიცხული იყო. მთავარი იყო დაეცვა გარკვეული ნორმები — სამსახურში დროზე მისულიყავი, შეგესრულებინა გარკვეული მოცულობის სამუშაო და ასევე გარკვეული სტანდარტული ხელფასი მიგეღო. მაღალი მწარმოებლობა, ორჯერ და მეტჯერ ნორმის გადაჭარბება, სამუშაოს შესრულების მაღალი ხარისხი მხოლოდ მცირედით ნაზღაურდებოდა. ამის ნიადაგზე მოსახლეობის გარკვეულ ფენებში ჩამოყალიბდა შრომისადმი ნიჰილიზმი, მაქინაციებით, ვაფლანგვით, წაგლეჯით სიმდიდრის მოპოვების სინდრომი. როცა საქმისადმი პროფესიონალური მიდგომა უგულებელყოფილი იყო. შედეგად მივიღეთ მეტად მძიმე სურათი, ახალგაზრდობას ჩამოუყალიბდა იოლი ცხოვრების გზების ძებნის სურვილი. ამავე დროს ასეთი გადახვევები ისჯებოდა და ზოგჯერ მეტად მკაცრადაც, რის გამოც გაჩნდა ფენა ე. წ. კარგი ცხოვრების მოყვარულებისა, რომლებიც იძულებული იყვნენ შენიღბულიყვნენ, დამალობანა ეთამაშათ. ყოველივე ასეთმა წინაპირობამ მეტად ცუდი შედეგი სწორედ თანამედროვე პირობებში გამოიღო. გამონაკლისის გარდა აღარავის უნდა შრომა, თავდადებული შრომა, აღარც სოფლად და აღარც ქალაქად. ვისაც კი შეეძლო, მიაწყდა ვაჭრობას, ხოლო ვაჭრობა მაშინ არის წარმატებითი, როცა არის რითი ივაჭრო და ამავე დროს საკმაო რაოდენობით. აქედან მომდინარეობს ყოველივე მანკიერი, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა.

სოფლის მეურნეობის დაკნინებას ხელი შეუწყო მიწის არასწორმა რეფორმამ და პრივატიზაციამ. ავჩქარდით და სახელმწიფო მეურნეობები ფაქტიურად გავაჩანაგეთ. ამავე დროს გლეხობასაც არ შევუწყვეთ ხელი, რათა მაქსიმალური მოსავლისათვის ებრძოლა. ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ მოხდა უდიდესი შეცდომა, როცა ცენტრალიზებული სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციით მომსახურების სადგურები გაუქმდა და ცალკეულ მეურნეობებს კი ფაქტობრივად აღარაფერი შერჩათ.

ვერ მოხერხდა გლეხების დაინტერესება ფულადი თუ სამრეწველო ანაზღაურებით, საწვავით, მცირე თუ საშუალო მექანიზაციით, შხამქიმიკატებითა და სხვ. ეს უკანასკნელი კი თანამედროვე სოფლის მეურნეობაში აუცილებელი და გადამწყვეტია. ვერ მოხერხდა სოფლის მეურნეობის კრედიტებით სწორი უზრუნველყოფა. ის, რომ სახელმწიფოსაც მოეგო და სოფლის მეურნეც წაგვეხალისებინა...

საქართველოს ამ ეტაპზე ყველაფერი უნდა გაეკეთებინა და გააკეთოს სოფლის მეურნეობის აღორძინებლად, ამისათვის სახელმწიფოს ხელიდან არ უნდა გაეშვა საწვავზე მონოპოლია. ის სახელმწიფო სააქციონერო ფირმების ხელში უნდა გადასულიყო. ყოველი ძალისხმევით სოფლის მეურნეობას უნდა მიეწოდოს აუცილებელი სასუქები და შხამქიმიკატები — პირველ რიგში ისეთები, რომელთა დამზადება რესპუბლიკის საწარმოებს შეუძლიათ — აზოტოვანი სასუქები, შაბიამანი, კირი და სხვა.

არ შეიძლება სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ძირითადი დარგების ისეთ მდგომარეობაში დატოვება, როგორშიც მევენახეობა, მეღვინეობა, მეხილეობა, ჩაისა და ციტრუსების წარმოებაა. ამ დარგებზე უფრო ვამახვილებ ყურადღებას, რადგან მეურნეობის სწორად წარმართვის პირობებში ისინი უფრო რენტაბელურია. ყოველმხრივ უნდა გავაფართოოთ მაღალი ხარისხის ღვინის, კონიაკის, ხილის, ხილის წვენების, კონსერვების, ჩაისა და ციტრუსების წარმოება. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ ფალსიფიცირებული კვების პროდუქტების დამზადება-გაყიდვის აღმოსაფხვრელად.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს მარცვლეულისა და ცილის აუცილებელი სასიცოცხლო ბაზა, რაც ჩემი აზრით დღეისათვის უპირატესად სიმინდთან, სოიასთან და სხვა პარკოსნებთან უნდა იყოს დაკავშირებული!

ყოველივე ჩამოთვლილის განხორციელებას კი პროფესიონალი სპეციალისტები სჭირდება, რომლებიც ამავე დროს თავისი დარგის პატრიოტებიც იქნებიან. აღნიშნული განხორციელდება თუ გაიმარჯვებს შრომის სიყვარული არა ერთ და ორ ინდივიდუუმში, არამედ ფართო მშრომელ მასებში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში. დღეისათვის ამ მიმართებით ცოტა რამ თუ კეთდება.

ძირეულად უნდა გადაკეთდეს ჩვენი აღზრდის სისტემა. დავიწყოთ მცირეწლოვანი ბავშვებით, რომლებიც უკვე 4-5 წლის ასაკიდან უნდა ჩავრთოთ საკონკურსო მარათონში, რათა მოხვდნენ პრესტიჟულ საბავშვო ბაღში. სადაც მოხდება მათი პიროვნებად ჩამოყალიბება და ცხოვრებისათვის მომზადება, შემდეგ ასეთივე გზით უნდა მოხვდნენ გიმნაზიაში, კოლეჯში, უნივერსიტეტში და ბოლოს სამსახურში. ამ ღონისძიებებში იაპონიაში აქტიურად მონაწილეობს ე. წ. იაპონელი „მზრუნველი დედა", ჩვენთან კი დედ-მამის მაგალითი და გავლენა ხშირად უფრო უარყოფითია, ვიდრე დადებითი. ასეთ ცხოვრებისეულ კონკურსს ოჯახი არიდებს ბავშვს, მოზარდს და საბოლოოდ ახალგაზრდა ცხოვრების წინაშე მოუმზადებელი და უსუსური რჩება. ამას დაერთო ამდენი კერძო უმაღლესი სასწავლებლის გახსნა, სადაც თუ აბიტურიენტს ფული აქვს, გარანტირებულია მისი ასეთ სასწავლებელში მოხვედრა. ფაქტიურად ყოვლად უგულებელყოფილია ცოდნა, ცენზი და შრომის სიყვარული. ამით კი სოფელს, მრეწველობას, თუ ის ამუშავდა-ამოქმედდა, მომავალში დააკლდება კვალიფიციური მშრომელის ხელი. ამჟამად კი ფაქტობრივად სწავლობანას თამაშობენ, როგორც სახელმწიფო, ისე კომერციულ უმაღლესებში, რადგან აუდიტორიებში აუტანელი სიცივეა, არ მოქმედებს ტრანსპორტი და ამავე დროს არ არის მომთხოვნელობა. ჩემი აზრით, ის კომერციული უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლის დუბლირებას ახდენენ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავხუროთ, სანამ გვიან არ არის და დიპლომიანი უვიცები არ წალეკავენ ისედაც გაუბედურებულ სოფლის მეურნეობას თუ მრეწველობას. დღევანდელ პირობებში უკეთ რომ მოწესრიგდეს ლექტორთა შრომის ანაზღაურება, უნდა განხორციელდეს ზომიერი ფასიანი სწავლების შემოღება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში. ამას მოითხოვს აგრეთვე სასწავლო ლაბორატორიების თანამედროვე აპარატურითა და რეაქტივებით აღჭურვაც.

ეს რომ გაკეთდეს, საჭიროა სწრაფად მოგვარდეს ქვეყნის ინფრასტრუქტურის რაციონალური მოწყობა.: სახელმწიფოს ხელში დაუყოვნებლივ უნდა გადავიდეს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც, ენერგოშემცველებით მომარაგება. ელექტროენერგიის მოპოვებისა და ტრანსპორტის ყველა სახეობა და სახელმწიფო მნიშვნელობის დიდი საწარმოები, სასურველია სააქციო ფირმების ჩამოყალიბებით. უნდა მოხდეს მაფიოზური დაჯგუფებების უსწრაფესი იზოლირება და თუ საჭიროა, განადგურებაც. ქვეყანაში კრიმინალური სიტუაცია მკვეთრად უნდა გამოსწორდეს, თუნდაც დიდი მსხვერპლის გაღებითაც. ცივილიზებულ საქართველოში იოლი გზით სიმდიდრის მოპოვების სურვილი უნდა ამოიშანთოს ოჯახშიცა და სახელმწიფოს დონეზეც. ქართველ ახალგაზრდობას და ყოველ მოქალაქეს არ უნდა შეექმნას იმის ილუზია, რომ ის დაუსჯელად იბანდიტებს, იქურდებს, იმაროდიორებს, იხულიგნებს, ხელს მიჰყოფს ნარკოტიკების გავრცელებას და თვით იქნება ნარკომანი.. ამისათვის კი საჭიროა ქვეყანაში იბატონოს კანონმა!

ყოველივე ამისგან თუ ვიქნებით დაცული და შრომის კულტი შეიქმნება ყველგან და ყველა დონეზე, ამის შემდეგ გვექნება საშუალება დავაგროვოთ დოვლათი, ჩამოვაყალიბოთ ნორმალური სოფლის მეურნეობა და ავაღორძინოთ მრეწველობა.

დასასრულ, შეგვეძლება ნორმალური ბრძოლისუნარიანი, თანამედროვე, გაწვრთნილი არმიის შექმნა. მხოლოდ ის მოგვცემს საშუალებას დავიცვათ ქვეყნის მთლიანობა. ვიმეორებ, ყოველივე ამის საფუძველი კანონი და მისი აუცილებელი განხორციელება უნდა იყოს.

ქართველების ყველაზე დიდი სალოცავი საქართველო უნდა იყოს, ასევე უნდა მოიქცეს საქართველოს ყველა არაქართველი მოქალაქეც. მათთვის ერთი ძირითადი მიზანი უნდა არსებობდეს — ერთიანი, დამოუკიდებელი, ძლიერი საქართველოს ჩამოყალიბება. ეს უნდა აერთიანებდეს ყველა პარტიის, მიმდინარეობისა თუ საზოგადოების ძალისხმევას. პარტიების რაოდენობა მკვეთრად უნდა შემცირდეს და მათ მთავარ მიზანს უნდა შეადგენდეს მხოლოდ მოსახლეობის ცხოვრების უკეთ მოწყობის გზების ძიება.

ყოველივე ნათქვამი თუ განვახორციელეთ, შრომა თუ გაფეტიშდა, მაშინ ყველაფერი თავის კალაპოტს მოძებნის — ეკონომიკური კავშირები, დსთ, ახლო თუ შორეულ საზღვარგარეთთან ურთიერთობა, ვაჭრობა და სხვა. მაშინ ძალიან ადვილად მოგვარდება სამაჩაბლოსა თუ აფხაზეთის დღევანდელი სატკივარიც.

ნოდარ ნუცუბიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

გაუგებრობა რომ ავიცილოთ

საკონსულტაციო ჯგუფი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს

— **დავიბადე** და აღვიზარდე ზესტაფონის რაიონის სოფელ დიდ განთიადში. ჩვენი ოჯახი გადასახლების დროს განაკულაკეს. ჩამოგვართვეს დიდი რაოდენობით მიწა (ვენახი, სახნავ-სათესი და ტყე). წაიყვანეს უღელი ხარი, 100-150 ფუთიანი 5 საღვინე ქვევრი, ჩამოგვართვეს წყლის წისქვილი და სხვ.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი კოლმეურნეობაში, დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი... გამანაწილეს ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, მაგრამ სოფელთან კავშირი არ გამიწყვეტია. გაპიროვნებული მქონდა ვენახი, რომელსაც 1983 წლამდე ვამუშავებდი. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ისევ კოლმეურნე კავშირ, რომ მშობლებისეული 2000 კვადრატული მეტრი მიწა არ ჩამოერთვათ... ახლა არ ჩამოვთვლი სოფლისათვის რამდენი კეთილი საქმე გამიკეთებია. ამჟამადაც სოფლის კეთილმოწყობის კომისიის წევრი გახლავართ...

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის იანვრის დადგენილების თანახმად 1993 წლის მარტში ამოვეწერე ქალაქიდან და მუდმივ საცხოვრებლად ჩავეწერე სოფელში. მეგონა მივიღებდი მიწას იმ რაოდენობას, რამდენიც 1993 წლის 16 იანვრის № 39 დადგენილების მე-4 პუნქტის მე-4 აბზაცით არის განსაზღვრული. რამდენიც სოფლად მცხოვრებ კომლს ეკუთვნის. აქაური ყოფილი გამგებელი ბატონი რ. კახელი მპირდებოდა კიდეც, მაგრამ იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს და ახალმა გამგებელმა, ბატონმა იგორ ბერაძემ და მიწის რეფორმის რაიონულმა კომისიამ, მიწის იმ რაოდენობით მიცემაზე, რამდენსაც სოფლად მაცხოვრებლებს აძლევენ, უარი მითხრეს, ჯერ მოიმიზეზეს ქალაქიდან 1992 წლის იანვრამდე უნდა ამოწერილიყავიო, შემდეგ მითხრეს ერთი კი არა, სამი სული მაინც უნდა ამოეწეროსო. არადა დადგენილებაში წერია: —. ის პირი, ვინც ამოეწერება და არა ის კომლი, რომელიც ამოეწერება — თუმცა ახლა სამ სულსაც აღარ სჭირდებიან...

გეკითხებით, ახლა სად წავიდე? სოფლად 0,25 ჰექტარზე მეტ [illegible] იმ რაოდენობის მიწას ქალაქიდან ამოუწერლადაც მომცემდნენ. ქალაქში კი დავტოვე სამუშაო. მითხარით როგორ ვირჩინო თავი? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვერ ვსარგებლობ იმ სიკეთით, რომელსაც ქალაქის მაცხოვრებელს სახელმწიფო აძლევს, მე უკვე სოფელში ვარ 3 მარტიდან, პური ჯერაც არ მიმიღია. არც კვების სხვა პროდუქტებით ვარ განებივრებული. ახლა იძულებული ვარ პირი კვლავ ქალაქისკენ ვიბრუნო. ეს არის სწორი? ვისაც სოფელში ყოფნა და მუშაობა უნდა, მას მიწას არ აძლევენ, ვინც არ მუშაობს, ეხვეწებიან, მიიღე, კანონით გეკუთვნისო. ბუნებრივია, იკითხავთ, თუ. არ მუშაობს, თავს როგორ ირჩენსო. საქმე ის გახლავთ, რომ კომლიდან ქალი მუდმივად სოფელშია და რა თქმა უნდა, მას მიწა ეკუთვნის. მამაკაცი კი გარე სამუშაოზეა წასული და მაინც სოფლის მუდმივ მაცხოვრებლად ითვლება. ასეთი ერთი და ორი შემთხვევა კი არაა, სამწუხაროდ, მთელი სოფელი ასეა.

ბოლოს იმის თქმა მინდა, რომ ისეთი კანონით, როგორიც ჩემს მიმართ განახორციელეს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვეს ვერ მივაღწევთ. მიწა უნდა მიეცეს მას, ვისაც შრომისთვის გული ერჩის და ამასთან მაჯაც უჭრის. ვისაც თოხი და ბარი არ სძულს, მისთვის მიწა არ უნდა დავიშუროთ. რა მნიშვნელობა აქვს, როდის ამოეწერა ქალაქიდან, მთავარია, რომ იგი სოფელში მუდმივად ჩაეწერა და იქ ცხოვრება სურს. მომეცით მიწა და როგორ მოსავალს მოვიყვან შემოდგომაზე, ნახეთ. გთხოვთ, მიპასუხოთ, რამდენად სამართლიანია გამგებლისა და მიწის რეფორმის კომისიის დამოკიდებულება? — **ვივი ბანცაძე,** ქუთაისი.

— მიწის რეფორმის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის № 128 დადგენილების თანახმად, მიწა მიეცემა 1992 წლის პირველი იანვრით სოფლად აღრიცხულ კომლს. თქვენ ქალაქიდან ამოეწერეთ და სოფელში ჩაეწერეთ 1993 წლის სამი მარტიდან. ამიტომ 0,25 ჰექტარზე მეტ მიწას ვერ მოგიზომავდნენ.

რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 16 იანვრის № 39 დადგენილების მე-4 პუნქტის მე-4 აბზაცის მოთხოვნას, იქ ლაპარაკია იმ მიწებზე, რომლებიც სპეციალურად შეირჩევა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცხოვრები მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად.

მიწის რეფორმის შემდგომ ეტაპზე, როცა მიწით სოფლის ყველა ადგილობრივი კომლი დაკმაყოფილდება, თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ საკარმიდამო მიწის შევსება სარეზერვო ფონდიდან და ალბათ დაკმაყოფილდებით კიდეც იმ რაოდენობის მიწის ფართობით, რამდენიც აღნიშნული სოფლის ყრილობამ პირველი კატეგორიის კომლისთვის დაადგინა.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წესდება

1. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი (შემდგომში „კავშირი") არის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ემყარება დემოკრატიის პრინციპებს.

1.2. კავშირი არის იურიდიული პირი, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, შტამპი და დამოუკიდებლობის სხვა ატრიბუტები. კავშირი უფლებამოსილია ჰქონდეს განკერძოებული ქონება და ყველა სახის ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში.

კავშირს აქვს საკუთარი სიმბოლიკა, რომელსაც ამტკიცებს კავშირის სათათბირო.

1.3. კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ და წინამდებარე წესდება.

კავშირი უფლებამოსილია იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოში.

1.4. კავშირი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; კავშირის შტაბბინა მდებარეობს თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. 182, მუშთაიდის ბაღი, მწვანე სახლი.

2. საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მიზნები და ამოცანები

2.1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი უმთავრესი ამოცანის გადაწყვეტას — დემოკრატიული, დამოუკიდებელი და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს აშენებას.

მოქალაქეთა კავშირის მიზანია:

— თითოეული ადამიანის ინტერესებისა და უფლებების დაცვა;

— საქართველოს მთლიანობის, მისი სახელმწიფოებრიობის დაცვა და განმტკიცება;

— საზოგადოების კონსოლიდაცია და მისი ძალისხმევის მიმართვა ყოვლისმომცველი უმძიმესი კრიზისიდან შესაძლო უმოკლეს ვადებში გამოსასვლელად;

— საზოგადოების ყველა ფენაში მოქალაქეობრივი შეგნებისა და მრწამსის დამკვიდრება, თითოეულ ადამიანში, მოქალაქეში საკუთარი ხალხისა და ქვეყნის ბედის ჭეშმარიტი გულშემატკივრისა და შემოქმედის პოზიციის ჩამოყალიბება;

მოქალაქეთა კავშირი უარს ამბობს სახელმწიფოს მოწყობის იდეალისტურ მოდელებზე, ქვეყნის ცხოვრების და წარმართვის განყენებულ სქემებზე, კავშირი ისახავს რეალურ მიზნებს და მხარს უჭერს რეალური და ქმედითი პოლიტიკის გატარებას.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის საქმიანობის ქვაკუთხედს წარმოადგენს თავისუფლების და დემოკრატიის იდეალები, კავშირი უარყოფს ყოველგვარ ექსტრემიზმს, რევოლუციურობას და ირჩევს განვითარების ევოლუციურ, თანდათანობით გზას, მიმართულს ღია, დემოკრატიული საზოგადოებისაკენ. მოქალაქეთა კავშირი თვლის, რომ ამგვარი საზოგადოების მშენებლობის პოლიტიკა განუყოფელია ზნეობისაგან, ზნეობრიობა პოლიტიკაში ისევე აუცილებელია, როგორც ადამიანური მოღვაწეობის სხვა ნებისმიერ სფეროში.

მოქალაქეთა კავშირისათვის პიროვნების ღირსება უმაღლესი ფასეულობაა, პატივისცემას იმსახურებს პიროვნების, ეთნოსის, ერისა და ხალხის ღირსება, ყოველი ის, რაც ცალკეული ადამიანისათვის ინდივიდუალურად ფასეულია.

მოქალაქეთა კავშირი თვლის, რომ პიროვნების ღირსება ადამიანის უპირველესი უფლებაა, ადამიანთა ინტერესებისა და უფლებათა დაცვა დემოკრატიული სახელმწიფოს უშუალო მოვალეობაა.

მოქალაქეთა კავშირის წევრი შეიძლება გახდეს ხმის უფლების მქონე საქართველოს ყველა მოქალაქე, ვინც მის მიზნებსა და იდეალებს გაიზიარებს. მოქალაქეთა კავშირისათვის არ წარმოადგენს ოპოზიციას ძალაუფლებისათვის ბრძოლა. კავშირი მხარში ამოუდგება ყველას, ვინც მზად არის იკისროს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე მდგომი სასიცოცხლო ამოცანების გადაწყვეტა, კავშირი კონსტრუქციულად ითანამშრომლებს ყველა სხვა პოლიტიკურ ძალასთან.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი უარყოფს იდეოლოგიურ ბრძოლას, როგორც საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის მეთოდს, მოქალაქეთა კავშირი თვლის, რომ ურთიერთშეთანხმება და დიალოგი საუკეთესო საშუალებაა ნებისმიერი პრობლემისა და დაპირისპირების გადასაწყვეტად.

მოქალაქეთა კავშირი თვლის, რომ ქვეყანაში არსებული კრიზისული მდგომარეობის პირობებში აუცილებელია სახელმწიფომ გააძლიეროს თავისი მაორგანიზებელი როლი, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ისევე ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლების ჩამოყალიბება სანდო გარანტიებს შეუქმნის მოქალაქის უფლებათა და ღირსების დაცვას, ხოლო ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მართვადობა — სახელმწიფოსა და საზოგადოების სწრაფი ტემპებით განვითარებას.

მოქალაქეთა კავშირი თვლის, რომ ქვეყნის აღმშენებლობის საფუძველი არის მოქალაქეობრივი პატრიოტიზმი, რომელიც ემყარება პიროვნების მოვალეობის გრძნობას და მის პასუხისმგებლობას საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, მოქალაქეთა კავშირს მიაჩნია, რომ ყოველი ადამიანი, რომელსაც მოქალაქეობრივი პატრიოტიზმის გრძნობა აქვს, მზად უნდა იყოს შეიტანოს საკუთარი წვლილი ქვეყნის ერთიანობის დაცვის, მისი აღორძინების საქმეში თავისი სარწმუნოების, ეთნიკური კუთვნილებისა, სოციალური მდგომარეობისა და კერძო ჯგუფური, თუ კორპორაციული ინტერესების მიუხედავად.

მოქალაქეთა კავშირის მიზანია საზოგადოებაში სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრება; საზოგადოების ყველა წევრს უნდა გააჩნდეს თანაბარი პირობები და შესაძლებლობები საკუთარი პიროვნების, თავის მეობის რეალიზაციისა და ცხოვრების მოწყობისათვის, მოქალაქეთა კავშირი მიიჩნევს, რომ საზოგადოების წინსვლის, მისი განვითარების და მომავლის საიმედოობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა პროგრესისაკენ სწრაფვა — კაცობრიობის მოწინავე ნაწილის მონაპოვართა, ფასეულობების და ღირებულებების ათვისება-გათავისება და მათში საკუთარი წვლილის შეტანა.

თანამედროვე საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობაში მონაწილეობისას საქართველოს მოქალაქეთა კავშირი ითვალისწინებს და ეყრდნობა ჩვენი ხალხის ისტორიულ გამოცდილებას, მაღალ ზნეობრივ და კულტურულ იდეალებს.

მოქალაქეთა კავშირი აღიარებს ეროვნული და ზოგადადამიანური იდეალებისა და ფასეულობების ერთიანობას, ჭეშმარიტად ეროვნული ინტერესები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კაცობრიობის წინაშე მდგომ საერთო გლობალურ ამოცანებს და ინტერესებს, ამიტომ მოქალაქეთა კავშირს დაუშვებლად მიაჩნია ადამიანთა ეროვნული გრძნობების პოლიტიკური სპეკულაციის საგნად გადაქცევა, იგი თვლის, რომ მტკიცე სახელმწიფოებრიობა და სამოქალაქო დემოკრატიული საზოგადოება ეროვნული ინტერესების დაცვისა და რეალიზაციის საიმედო გარანტიებს შექმნის.

მოქალაქეთა კავშირი თვლის, რომ პიროვნების თავისუფლების უზრუნველყოფის, დემოკრატიული და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს აშენების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა არის ქვეყანაში კერძო საკუთრების დამკვიდრება.

3. კავშირის წევრები და მათი უფლება-მოვალეობანი

3. 1. კავშირის წევრი შეიძლება გახდეს ხმის უფლების მქონე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდება 18 წელი, აღიარებს კავშირის წესდებას და პროგრამას, მზად არის გადაიხადოს საწევრო გადასახადი.

კავშირის წევრობას ადასტურებს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მოწმობა.

3. 2. კავშირის წევრად მიღება არის კომპეტენცია რაიონული საბჭოსი, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება წევრად მიღების შესახებ მოქალაქის პირადი განცხადების და კავშირის ორი წევრის რეკომენდაციის საფუძველზე.

3. 3. კავშირიდან გასვლა ხდება პირადი განცხადების საფუძველზე.

3. 4. კავშირიდან გარიცხვა ხდება რაიონული საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილებით.

3. 5. კავშირის წევრს აქვს უფლება:

— აირჩიოს ან თვითონ იქნას არჩეული კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში.

— მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში კავშირის სტრუქტურის ყველა დონეზე წესდებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

— ნებაყოფლობით გავიდეს კავშირის რიგებიდან;

— ისარგებლოს კავშირის კუთვნილი ქონებით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. 6. კავშირის წევრის ვალდებულებებია:

— მიიღოს მონაწილეობა კავშირის საქმიანობაში, დაიცვას კავშირის წესდების და პროგრამის მოთხოვნები;

— შეასრულოს კავშირის არჩევითი ორგანოების გადაწყვეტილებები;

— გადაიხადოს საწევრო შესატანი;

3. 7 კავშირის წევრს ეკრძალება მოქმედება კავშირის სახელით რეგიონული ან უმაღლესი დონის ხელმძღვანელი ორგანოების თანხმობის გარეშე.

4. კავშირის ორგანიზაციული სტრუქტურა, ხელმძღვანელი ორგანოები

4. 1. კავშირის უმაღლესი ორგანოა კავშირის ყრილობა, რომელსაც იწვევენ ორ წელიწადში ერთხელ მაინც.

4. 2. კავშირის ყრილობა უფლებამოსილია გადაწყვიტოს კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

ყრილობის განსაკუთრებული კომპეტენციაა:

— მიიღოს კავშირის წესდება და შეიტანოს მასში ცვლილებები, რაზეც უნდა ეცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს;

— მიიღოს კავშირის საპროგრამო დოკუმენტები;

— აირჩიოს კავშირის თავმჯდომარე, გენერალური მდივანი, სათათბიროს სპიკერი და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე;

— აირჩიოს კავშირის მთავარი საბჭო არაუმეტეს 17 წევრის შემადგენლობით;

— აირჩიოს კავშირის სათათბირო არაუმეტეს 155 წევრის შემადგენლობით;

— აირჩიოს კავშირის სარევიზიო კომისია 7 წევრის შემადგენლობით;

— დაამტკიცოს კავშირის თავმჯდომარის, გენერალური მდივნის, სათათბიროს სპიკერის და სარევიზიო კომისიის ანგარიშები;

— მიიღოს გადაწყვეტილება კავშირის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ;

კავშირის ხელმძღვანელობის არჩევა ხორციელდება ფარული კენჭისყრით.

4. 3. რიგგარეშე ყრილობას იწვევს კავშირის თავმჯდომარე ან კავშირის მთავარი საბჭო — სათათბიროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ან კავშირის წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით.

4. 4. კავშირის ყრილობებს შორის კავშირის საქმიანობას ხელმძღვანელობს კავშირის თავმჯდომარე.

კავშირის თავმჯდომარე:

— უფლებამოსილია წარადგინოს კავშირი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;

— ხელს აწერს კავშირის ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

— ხელმძღვანელობს კავშირის მთავარ საბჭოს;

— აუცილებლობის შემთხვევაში თავისი უფლებების ნაწილს გადასცემს კავშირის მთავარი საბჭოს წევრებს;

— იწვევს რიგგარეშე ყრილობას.

4. 5. კავშირის თავმჯდომარე, გენერალური მდივანი, სათათბიროს სპიკერი, ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე და ყრილობაზე არჩეული კავშირის მთავარი საბჭოს წევრები ქმნიან კავშირის მთავარ საბჭოს.

თბილისის და სამხარეო ორგანიზაციების თავმჯდომარეები მონაწილეობენ მთავარი საბჭოს მუშაობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით.

მთავარი საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს კავშირის თავმჯდომარე.

მთავარი საბჭო:

— თავმჯდომარესთან ერთად ხელმძღვანელობს კავშირის საქმიანობას.

— იღებს მიმართვებს, განცხადებებს და სხვა სახის დოკუმენტებს კავშირის სახელით;

— საჭიროების შემთხვევაში აყალიბებს სამხარეო ორგანიზაციებს;

— კავშირის სათათბიროს ან კავშირის წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით იწვევს კავშირის რიგგარეშე ყრილობას;

— განსაზღვრავს ყრილობაზე წარმომადგენლობის წესს;

— გენერალური მდივნის წარდგინებით ამტკიცებს რაიონული, საქალაქო და სამხარეო ორგანიზაციების დამფუძნებელი კრების შედეგებს და აძლევს უფლებას რაიონულ, საქალაქო და სამხარეო ორგანიზაციებს გაიარონ რეგისტრაცია კანონმდებლობის შესაბამისად;

— ამტკიცებს რაიონული, საქალაქო და სამხარეო ორგანიზაციების თავმჯდომარეებს;

— გენერალური მდივნის წარდგინებით ამტკიცებს კავშირის ბიუჯეტს;

— სარგებლობს საკონტროლო უფლებით კავშირის საქმიანობის ყველა სფეროში.

— იხილავს არჩევნებში მონაწილეობისთვის დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატებს და წარადგენს მათ სათათბიროზე დასამტკიცებლად.

4. 6. მთავარი საბჭოს მიერ საბჭოს შემადგენლობიდან კავშირის თავმჯდომარის წარდგინებით ინიშნება კავშირის თავმჯდომარის მოადგილეები.

კავშირის თავმჯდომარის მოადგილეები:

— ასრულებენ კავშირის წარმომადგენლობით ფუნქციას;

— კურირებენ კავშირის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს მთავარი საბჭოს მუშაობაში მონაწილეობით;

4. 7. კავშირის სათათბირო არის კავშირის ძირითადი სათათბირო ორგანო.

კავშირის სათათბირო:

— ამუშავებს კავშირის პროგრამებს, სხვა სახის პოლიტიკურ დოკუმენტებს და წარუდგენს მათ მთავარ საბჭოს და ყრილობას დასამტკიცებლად;

— იღებს მიმართვებს და სხვა სახის პოლიტიკურ დოკუმენტებს კავშირის სათათბიროს სახელით;

— ამყარებს ურთიერთობებს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საზოგადოებრივ ჯგუფებთან, უწევს პროპაგანდას კავშირის მიზნებს, მის საქმიანობას;

— მონაწილეობს კავშირის საპარლამენტო პოლიტიკის შემუშავებაში;

— კავშირის გენერალური მდივნის წარდგინებით ამტკიცებს კავშირის ცენტრალური აპარატის სტრუქტურას;

— ამტკიცებს მთავარი საბჭოს მიერ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისათვის წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატებს;

— საჭიროების მიხედვით ქმნის სტრუქტურულ ქვეგანაყოფებს (კომისიებს, სამუშაო ჯგუფებს, კლუბებს და სხვა) წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების მიზნით;

ყრილობაზე არჩეულ სათათბიროს წევრებს ემატება რაიონული და სამხარეო ორგანიზაციების თავმჯდომარეები, პარლამენტში არჩეული კავშირის წევრები.

4. 8. სათათბიროს საქმიანობას წარმართავს სათათბიროს სპიკერი.

სათათბიროს სპიკერი:

— როგორც წესი, თავმჯდომარეობს სათათბიროს სხდომებს;

— ორგანიზებას უწევს სათათბიროს საქმიანობას, რისთვისაც იყენებს კავშირის აპარატს;

— ახდენს სათათბიროს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებების კოორდინირებას;

— ასრულებს კავშირის წარმომადგენლობით ფუნქციას.

4. 9. კავშირის გენერალური მდივანი:

— ხელმძღვანელობს კავშირის მიმდინარე საქმიანობას;

— ხელმძღვანელობს კავშირის აპარატს;

— კოორდინირებას უწევს რაიონული, საქალაქო და სამხარეო ორგანიზაციების საქმიანობას;

— ასრულებს წარმომადგენლობით ფუნქციას.

4. 10 კავშირის აპარატი წარმოადგენს კავშირის აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც მუშაობს სათათბიროს მიერ დამტკიცებული სტრუქტურით და გენერალური მდივნის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

კავშირის აპარატი:

— უწევს ორგანიზებას და წარმართავს კავშირის მიმდინარე საქმიანობას;

— უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზების აპარატულ მომსახურებას;

კავშირის აპარატი ფინანსირდება კავშირის ბიუჯეტიდან.

4. 11. წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად აპარატის დებულების შესაბამისად, კავშირის ცენტრალურ აპარატში იქმნება სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომელთა ხელმძღვანელები ქმნიან ცენტრალურ სამდივნოს.

ცენტრალური სამდივნოს მუშაობას ხელმძღვანელობს კავშირის გენერალური მდივანი.

4. 12. ცენტრალური სამდივნოს წევრები, გენერალური მდივნის დავალებით.

— უძღვებიან ცენტრალური აპარატის საქმიანობას დარგობრივი მიმართულებების მიხედვით;

— კოორდინირებას უწევენ კავშირის საქმიანობას დარგობრივი მიმართულებების მიხედვით;

— მონაწილეობენ კავშირის მთავარი საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით;

— წინასწარ სწავლობენ, ამუშავებენ და ამზადებენ კავშირის მთავარი საბჭოს სხდომებზე გასატან საკითხებს.

4. 13. სარევიზიო კომისია ამოწმებს კავშირის საფინანსო საქმიანობას წელიწადში ერთხელ მაინც და წარუდგენს ანგარიშს კავშირის მთავარ საბჭოს და ყრილობას.

4. 14. სარევიზიო კომისიის წევრები არ შეიძლება იმავდროულად იყონ ხელმძღვანელი ორგანოების წევრები ან კავშირის აპარატის თანამშრომლები.

4. 15. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მონაწილეობს მთავარი საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

5. კავშირის ავტონომიური სტრუქტურული ერთეულები

5. 1. კავშირის სტრუქტურაში შეიძლება შეიქმნას ავტონომიური ერთეული, გადაწყვეტილებას ავტონომიური ერთეულის შექმნის შესახებ იღებს კავშირის მთავარი საბჭო.

კავშირის ავტონომიური სტრუქტურული ერთეულები მოქმედებენ საკუთარი წესდების და პროგრამის საფუძველზე, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კავშირის წესდებასა და პროგრამას.

კავშირის ავტონომიურ სტრუქტურულ ერთეულებს გააჩნიათ საკუთარი ბეჭედი და ანგარიში.

5. 2. საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი წარმოადგენს კავშირის ავტონომიურ სტრუქტურულ ერთეულს.

6. კავშირის რეგიონული სტრუქტურა

6. 1. კავშირის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს პირველადი (ადგილობრივი, ტერიტორიული), საქალაქო, რაიონული და სამხარეო ორგანიზაციები.

სამხარეო ორგანიზაციები იქმნება საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიურ ერთეულებში. მთავარი საბჭოს გადაწყვეტილებით სამხარეო ორგანიზაციები შეიძლება შეიქმნას საქართველოს სხვა რეგიონებში.

თბილისში და რესპუბლიკური დაქვემდებარების სხვა ქალაქებში იქმნება საქალაქო ორგანიზაციები. საქალაქო ორგანიზაცია ახდენს მის ტერიტორიაზე არსებული რაიონული ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინირებას კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებების შესაბამისად.

6. 2. კავშირის ორგანიზაციები თავის საქმიანობას წარმართავენ კავშირის პროგრამის და კავშირის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების შესაბამისად. კავშირის ორგანიზაციები შედიან ზემდგომ ორგანოებსა და ორგანიზაციებში ისეთი წინადადებებით, ინიციატივებით, საპროგრამო მოსაზრებებით, რომელთა რეალიზება შესაძლებელია ზემდგომი ორგანოებისა და ორგანიზაციების მეშვეობით.

6. 3. კავშირის რაიონული (საქალაქო, სამხარეო) ორგანიზაციის ჩამოყალიბება ხდება ამ ორგანიზაციის დამფუძნებელ კრებაზე, რომელსაც უნდა ესწრებოდეს ცენტრალური სამდივნოს უფლებამოსილი წარმომადგენელი. დამფუძნებელ კრებას ამზადებს ცენტრალური სამდივნოს მიერ დამტკიცებული საინიციატივო ჯგუფი. რაიონული (საქალაქო, სამხარეო) ორგანიზაცია ითვლება დაფუძნებულად კავშირის მთავარი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების შემდეგ. რაიონულ (საქალაქო, სამხარეო) ორგანიზაციას გააჩნია საკუთარი ბეჭედი და ანგარიში).

6. 4. რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია მოიწვევა არანაკლებ წელიწადში ერთხელ. რაიონული კონფერენცია იღებს გადაწყვეტილებებს რაიონული ორგანიზაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საკითხების შესახებ.

რაიონული კონფერენცია ირჩევს რაიონული ორგანიზაციის სათათბიროს (როგორც წესი, 25-45 წევრის შემადგენლობით), რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს (არაუმეტეს სამი მოადგილისა), როგორც წესი — სათათბიროს სპიკერს, რაიონულ საბჭოს (არაუმეტეს ცხრა კაცის შემადგენლობით) და სარევიზიო კომისიას სამი წევრის შემადგენლობით.

რაიონული ორგანიზაციის სათათბიროს შემადგენლობას ემატება პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში არჩეული კავშირის წევრები.

თბილისის და სამხარეო ორგანიზაციების სათათბიროების შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 70 წევრს, საბჭოების — 15 წევრს.

6. 5. რაიონული ორგანიზაციის მუშაობას წარმართავს კავშირის რაიონული საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, აღმასრულებელი მდივანი, როგორც წესი — სათათბიროს სპიკერი, თავმჯდომარის მოადგილეები, არსებობის შემთხვევაში — ახალგაზრდული კავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე და კონფერენციაზე არჩეული საბჭოს სხვა წევრები.

6. 6. რაიონული ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი ხელმძღვანელობს ორგანიზაციის აპარატს არანაკლებ ოთხი-ხუთი თანამშრომლის შემადგენლობით. რაიონული ორგანიზაციის აღმასრულებელ მდივანს ნიშნავს კავშირის გენერალური მდივანი.

6. 7. რაიონული გამგეობის ყველა გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამისი სამხარეო ორგანიზაციის გამგეობის სხდომაზე (თუ ასეთი იარსებებს), სხვა შემთხვევაში — კავშირის გამგეობის სხდომაზე.

6. 8. საგანგებო შემთხვევებში გენერალური მდივნის წარდგინებით მთავარი საბჭო აჩერებს რაიონული (საქალაქო, სამხარეო) ორგანიზაციების უფლებამოსილებას.

6. 9. კავშირის პირველადი (ადგილობრივი, ტერიტორიული) ორგანიზაციები იქმნება, როგორც წესი, ტერიტორიული პრინციპით არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით და ერთიანდება კავშირის რაიონულ ორგანიზაციებში.

გადაწყვეტილებას ადგილობრივი ორგანიზაციის შექმნის შესახებ იღებს კავშირის რაიონული ორგანიზაციის მთავარი საბჭო პირველადი ორგანიზაციის დამფუძნებელი კრების ოქმის საფუძველზე.

6. 10. რაიონული (საქალაქო, სამხარეო) ორგანიზაციის ანგარიშზე შემოსული თანხების 20% ირიცხება კავშირის ცენტრალურ ანგარიშზე კავშირის საერთო პროგრამების დასაფინანსებლად.

7. კავშირის მონაწილეობა ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში

7. 1. კავშირი მონაწილეობს ყველა დონის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატების დასახელების და მათი მხარდაჭერის და პროპაგანდირების გზით.

წარმომადგენლობით ორგანოებში არჩეული კავშირის წევრები ვალდებული არიან თავის საქმიანობაში იხელმძღვანელონ კავშირის საპროგრამო დოკუმენტებში და წესდებაში დეკლარირებული პრინციპებით.

კავშირის წევრები, რომლებიც არჩეული არიან წარმომადგენლობით ორგანოებში, ანგარიშვალდებული არიან შესაბამისი დონის (რაიონული, საქალაქო, სამხარეო, ცენტრალური) სათათბიროს წინაშე.

7. 2. წარმომადგენლობით ორგანოებში დეპუტატების კანდიდატების დასახელების უფლება აქვს კავშირის წევრთა არანაკლებ ასკაციან ჯგუფს, კავშირის ყველა დონის საბჭოებს, კავშირის მხარდამჭერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

7. 3. რაიონულ წარმომადგენლობით ორგანოებში დეპუტატობის კანდიდატებს განიხილავს რაიონული საბჭო, მთავარი (აგრეთვე სამხარეო) საბჭოს უფლებამოსილი წარმომადგენლების მონაწილეობით, რაიონის საბჭოს მიერ წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატებს ამტკიცებს რაიონული ორგანიზაციის სათათბირო.

7. 4. სამხარეო (საქალაქო) დონის წარმომადგენლობით ორგანოებში დეპუტატობის კანდიდატებს განიხილავს შესაბამისი სამხარეო საბჭო კავშირის მთავარი საბჭოს უფლებამოსილი წარმომადგენლების მონაწილეობით. სამხარეო საბჭოს მიერ წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატებს ამტკიცებს სამხარეო ორგანიზაციის სათათბირო.

7. 5. საქართველოს პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატებს განიხილავს კავშირის მთავარი საბჭო შესაბამისი რაიონული ორგანიზაციის რეკომენდაციის საფუძველზე. კავშირის მთავარი საბჭოს მიერ წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატებს ამტკიცებს კავშირის სათათბირო.

7. 6. წარმომადგენლობით ორგანოებში არჩეული კავშირის წევრები შედიან შესაბამისი დონის სათათბიროს შემადგენლობაში.

8. კავშირის დაფინანსების წყაროები

8. 1. კავშირი ეწევა ფინანსურ და საგამომცემლო საქმიანობას იმ ფარგლებში, რომლებიც დაშვებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით პოლიტიკური გაერთიანებებისათვის.

კავშირის დაფინანსების წყაროებს წარმოადგენს:

— კანონით დადგენილი წესით მიღებული შემოსავალი;

— ინდივიდუალური და იურიდიულ პირთა შემოწირულობანი;

— საწევრო გადასახადი.

9. კავშირის ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის წესი

9. 1. კავშირის რეორგანიზაცია, საქმიანობის შეწყვეტა და ლიკვიდაცია შესაძლებელია მოხდეს კავშირის საგანგებო ყრილობაზე საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

9. 2. კავშირის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

განხილვა

ლაზეთის პრობლემა და თურქული ჟურნალი „ოგნი“

17. აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის მრავალტომიანი „გეორგიკა“ და ლაზთა ისტორია

კარგი იქნებოდა „ოგნის“ („სქანი ნენა“) ფურცლებზე გამოჩენილი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის დიდი ღვაწლის ჩვენება, იმ ღვაწლისა, რომელიც მან შეიტანა ლაზთა ისტორიის შესწავლაში. აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოსცა მრავალტომიანი, ფუნდამენტური კრებული „გეორგიკა“, რომელიც შეიცავს ბერძნულ და ლათინურ ენებზე საქართველოს და, მაშასადამე, ლაზეთის ისტორიის შესახებ არსებულ ელინურ, რომაულ, ბიზანტიურ წყაროებს.

ლაზი სწორად ვერ გააცნობიერებს თავის ეთნიკურ „მეს“, თუ აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის შრომებს და მეცნიერულ პუბლიკაციებს არ გაეცნობა.

აკად. ს. ყაუხჩიშვილის შრომები მე მინახავს სტამბოლში. ისინი „ოგნისთვის“ ხელმისაწვდომია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ უნდა გაუგზავნოს „გეორგიკა“ „ოგნის“.

18. ლაზები, სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი

ჟურნალ „ოგნის“ („სქანი ნენას“) ფუნდამენტურ შეცდომებს განეკუთვნება მისი გალაშქრება აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასა და აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის მიერ ლაზეთის ისტორიის საკითხებზე გამოქვეყნებული სტატიების წინააღმდეგ.

ეს სტატიები გამოქვეყნდა სტალინისა და ბერიას დროს. შეიძლება დღეს ამ სტატიების პოლიტიკური ფენომენი მოძველდა (დღეს საზღვრები ურღვევია, აგრესია გამორიცხულია), მაგრამ მათი მეცნიერული ღირებულება, რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება.

ისტორიის თხუნელა ღრმად თხრის, როგორც ერთმა ბრძენმა თქვა, მაგრამ ადამიანი მასზე უფრო ღრმად უნდა იხედებოდეს ჭეშმარიტების წიაღში.

ივანე ჯავახიშვილის შემდეგ მეორე დიდი ქართველი ისტორიკოსი სიმონ ჯანაშია კოლხია (ლაზია) წარმოშობით.

(შეადარეთ ქართველური გვარები ჯანა-ში, ჯა-ში, ხალვა-ში ნუხვა-ში და ა. შ.)

ენდეთ, ლაზებო, დიდ ქართველ მეცნიერს აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას და მის ისტორიულ თხზულებებს ლაზეთზე.

19. ნიკო მარი და ლაზები. ლაზები ძირძველი, უძველესი ქართველები არიან.

ვფიქრობ, თურქეთში ყველა ლაზმა უნდა წაიკითხოს დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის ენათმეცნიერის, აკადემიკოს ნიკო მარის წიგნი „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა“, რომელიც 1910 წელს გამოიცა სანკტ-პეტერბურგში.

ნიკო მარმა ივ. ჯავახიშვილთან ერთად იმოგზაურა თურქეთის ლაზისტანში. ეს იყო ისტორიული სამეცნიერო ექსპედიცია.

ნიკო მარი ამტკიცებს, რომ ლაზური (ჭანური) ენა ქართველური ენაა. ნიკო მარმა იცოდა მსოფლიოს ხალხთა მრავალი ენა, მათ შორის ლიტერატურული ქართული, ლაზური, ჭანური ენა.

ასეთი იყო იაფეტური ენათმეცნიერების მამამთავრის, მსოფლიო მასშტაბის ენათმეცნიერის ნიკო მარის თეორია, რომელიც ენათმეცნიერების ბევრმა ევროპულმა და ამერიკულმა სკოლამ გაიზიარა და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

ნიკო მარი თვითონ კოლხეთში, ისტორიულ ლაზეთშია დაბადებული. მან ბრწყინვალედ იცოდა ლაზური ენა. მისი აზრი კომპეტენტურია, ეჭვზე მაღლა დგას. ჟურნალ „ოგნიმ“ უნდა დაბეჭდოს ნიკო მარის შრომები ლაზური ენის შესახებ.

20. აკად. არნოლდ ჩიქობავა და ლაზთა საკითხი

დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი ენათმეცნიერი, ნიკო მარის ოპონენტი, შედარებითი ენათმეცნიერების ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა, რომელიც თვითონ წარმოშობით კოლხი (ლაზი) იყო, თბილისში ქმნის ყავლგაუსვლელ ნაშრომს „ჭანურის (ე. ი. ლაზურის) გრამატიკულ ანალიზს“ (ტექსტებითურთ).

თუ აკადემიკოსი ნიკო მარი იაფეტური ენათმეცნიერების პოზიციიდან ამტკიცებდა, რომ ლაზური ენა ქართველური ენაა, მისი ოპონენტი აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა შედარებითი ენათმეცნიერების პოზიციიდან ამტკიცებს, რომ ლაზები ქართველები არიან, ხოლო ჭანური (ლაზური) ენა — ქართველური ენაა.

21. რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ აიეტი და მედეა? აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის პოზიცია

ჟურნალი „ოგნი“ („სქანი ნენა“) ბევრს წერს ბერძნულ მითოლოგიაზე, ოქროს საწმისის მითზე, არგონავტებზე, რომაულ მითოლოგიაზე. უფრო მეტს წერენ ამის შესახებ საქართველოში.

გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, რომელმაც არაერთი ამერიკელი თუ ევროპელი ენათმეცნიერის აზრით, გადატრიალება მოახდინა თანამედროვე ენათმეცნიერებაში, წერს, რომ ლაზური ქართველური ენაა და აიეტი და მედეა ლაპარაკობდნენ დასავლურ ქართველურ კილოზე (ზანურ-ჭანურ-ლაზურ ენაზე).

აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ენათმეცნიერულმა ნაშრომებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვეს. იმედი გვაქვს, რომ თურქეთში ლაზებიც ეზიარებიან ამ დიდი მეცნიერის ენათმეცნიერულ თეორიას.

22. ფრანგი მეცნიერის დიუმეზილის შრომები ლაზური ენის შესახებ

საზღვარგარეთელ ენათმეცნიერთა შორის ლაზური ენის შესწავლაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა დიუმეზილმა. მისი თეორიის თანახმად ლაზები ქართველური ტომია, ლაზური ენა — ქართველური ენაა.

ამ ფრანგ მეცნიერს იცნობდა დიდი კლასიკოსი გრ. რობაქიძე. მეტად საინტერესოა გრ. რობაქიძის აზრები ლაზური ენის შესახებ. მას ყველა უნდა ჩაუფიქრდეს.

23. აკადემიკოს კალე სალიას პარიზული ჟურნალი „ბედი ქართლისა“ და ლაზთა საკითხი

ხმელთაშუაზღვის ქვეყნების აკადემიის ნამდვილი წევრი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი კალე სალია პარიზში სცემდა ცნობილ ჟურნალს „ბედი ქართლისა“.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და კულტურტრეგერი კალე სალია წარმოშობით ისტორიული ლაზიკედან იყო.

მას მიაჩნდა, რომ „ბედი ქართლისა“ იმავე „ლაზეთის ბედიც“ იყო.

ამ ჟურნალში იბეჭდებოდა მსოფლიოს ქართველოლოგიური ცენტრების თვალსაჩინო მოღვაწეთა შტუდიები, გამოკვლევები ლაზური ენისა და ისტორიის საკითხებზეც. ამ ჟურნალის ყველა პუბლიკაცია ლაზთა ქართველობას ადასტურებდა.

24. პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“ და ლაზეთისა და აფხაზეთის პრობლემა

„ოგნი“ ბევრს წერს ლაზეთისა და აფხაზეთის პრობლემებზე. ბევრ საკითხში სინათლეს შეიტანდა პავლე ინგოროყვას, დიდი ქართველი მეცნიერის კაპიტალური მონოგრაფია „გიორგი მერჩულე“, მაგრამ, სამწუხაროდ, „ოგნი“ მას არ ეყრდნობა.

დიდი ქართველი მეცნიერი პავლე ინგოროყვაც წარმოშობით ლაზია და არა ჩერქეზი (გელეყვა, ართილაყვა, ბობოყვა, ჭანუყვა, ინგოროყვა და ა. შ. — ჭანური (ლაზური) წარმოშობის ქართული გვარებია და ისინი დაფიქსირებულია სხვადასხვა საუკუნის ძეგლებში, სამეცნიერო ლიტერატურაში).

პავლე ინგოროყვა მუდამ ამტკიცებდა, რომ ლაზები ქართველური ტომია.

თურქეთის ლაზებმა მეტი ნდობა უნდა გამოიჩინონ დიდი ქართველი მეცნიერის პავლე ინგოროყვას შრომებისადმი, როცა აფხაზეთის პრობლემებს აშუქებენ. ლაზეთისა და აფხაზეთის პრობლემებში გარკვევა შეუძლებელია პავლე ინგოროყვას კლასიკური შრომების გარეშე.

25. აკადემიკოსი სერგი ჯიქია და ლაზთა პრობლემა

თურქოლოგიის პატრიარქია საქართველოში აკადემიკოსი სერგი ჯიქია, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრისა“ და მრავალი სხვა ცნობილი თურქოლოგიური შრომების ავტორი, ქართველ თურქოლოგთა მთელი პლეადის აღმზრდელი, მათ შორის თურქეთში საქართველოს პირველი ელჩის, ქართველი თურქოლოგის, პროფესორ ნოდარ კომახიძის მასწავლებელი.

აკადემიკოსი სერგი ჯიქია წარმოშობით კოლხია (ლაზია). ისიც, როგორც ყველა სხვა სერიოზული მეცნიერი, ამტკიცებს, რომ ლაზური ენა ქართველური ენაა, ლაზი — ქართველია.

აკადემიკოს სერგი ჯიქიას ნაშრომებს კარგად იცნობენ თურქეთში. მას იცნობენ მთელი მსოფლიოს თურქოლოგები.

26. ქართულ-ბასკურ ურთიერთობებში — ლაზურის როლი (იბერიისა და ატლანტიდის კონტექსტში).

ქართული და ქართველური ენებისა და ბასკურის ურთიერთობაში ლაზურის როლი დიდია.

ქართულსა და ქართველურს, მათ შორის ლაზურს შორის არის გრამატიკული და ლექსიკური ნიუანსები, რომლებიც ერთმანეთს არ ემთხვევა.

მაგალითად, ზმნის ერგატიულობა ანათესავებს ქართველურს, მათ შორის ლაზურს (ზანურ-ჭანურს) ბასკურ ენასთან, იბერიულ ენასთან.

კარგი იქნება, თუ ჟურნალი „ოგნი“ („სქანი ნენა“) ამ თვალსაზრისით ითანამშრომლებს ბასკეთის ენისა და ლიტერატურის აკადემიასთან. ასე უფრო ჩქარა მივა ლაზი საკუთარ „მეს“-თან.

ევროპის იბერიისა და ატლანტიდის მსოფლიო საიდუმლოს ამოხსნაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ ქართველურ ენებს, პირველ რიგში ლაზურ ენას.

27. აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია — ქართული ეთნოგრაფიის მამამთავარი — ლაზთა შესახებ

ლაზთა ეთნოგრაფიაზე ბევრს წერს ჟურნალი „ოგნი“.

ქართულ ეთნოგრაფიას, როგორც მეცნიერებას, საფუძველი ჩაუყარა აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ, რომელიც კოლხი (ლაზი) იყო წარმოშობით.

მაშასადამე, ლაზი უნდა ენდოს გიორგი ჩიტაიას მეცნიერულ გამოკვლევებს.

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მიაჩნდა, რომ ლაზები ქართველები არიან. მეცნიერულად არგუმენტირებულად, ლოგიკურად ამტკიცებდა ამ თეზისს.

28. უპრეცედენტოა „ოგნის“ შეცდომები?

ლაზური ჟურნალის შეცდომები, არაქართული მოტივები უპრეცედენტო როდია. მსგავს შეცდომებს უშვებდა თავის დროზე საზღვარგარეთელ ქართველოლოგთა შორის, მაგალითად, პროფესორი ბლაიხშტაინერი, რომელთანაც მწვავე პოლემიკა ჰქონდა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს.

შეცდომები ამ საკითხებში თვით ნიკო ბერძენიშვილსაც კი მოსდიოდა.

მთავარია არ გავიმეოროთ წარსულის შეცდომები. გავითვალისწინოთ ისტორიის გაკვეთილები და გამთლიანებული ეროვნული ცნობიერებით ვაშენოთ ახალი მომავალი.

29. კოლხთა, (ლაზთა) მსოფლიო პრიორიტეტები, ანუ ხალიბური — რკინა, ლაზური ბალი და ფაზისური ხოხობი ევროპაში...

კოლხეთიდან, ფაზისიდან გაიყვანეს პირველად ევროპაში ხოხობი და „ფაზან“ — ფაზისური ფრინველი უწოდეს ევროპულ ენებში.

ლაზიკეს ქალაქ კერასუნტიდან გაიტანეს პირველად ბალი ევროპაში. ამიტომ ბალის სახელი ევროპულ ენებში კერასუნტს უკავშირდება.

კერასუნტი ქართველური სიტყვაა.

ბერძნულ ენაში „ხალიბს“ ეწოდება ფოლადს, კოლხური (ლაზური) ტომის, მეტალურგიის ფუძემდებელთა — ხალიბთა (პროტოლაზთა) პატივსაცემად.

„უჟანგავი რკინა“ ხალიბებმა შექმნეს.

მოსინიკებმა შექმნეს — თითბერი და სპილენძი.

რომელი ერთი მსოფლიო მიღწევა აღვნიშნო.

ტიბარენებიც დახელოვნებული მეტალურგები იყვნენ, ფოლადს და რკინას ამზადებდნენ.

თითბერი (ბევრ ევროპულ ენაში) მათ შორის გერმანულად „მესინგ“-ად იწოდება და კოლხ მოსინიკებს უკავშირდება.

ქართველურ, ლაზურ ენას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს შუმერული, აქადური, პროტოხეთური, ხეთური, ურარტული, ფრიგიული, ეტრუსკული, ლათინური, ძველბერძნული, ძველი რუსული, ანატოლიური, კავკასიური, იბერიული, ქართველური, ძველი და ახალი მსოფლიოს მრავალ სხვა მკვდარ და ცოცხალ ენათა სიტყვების სემანტიკისა და ეტიმოლოგიის დადგენაში, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და მეცნიერების მრავალ სხვა დარგში.

ქართველი მეცნიერები, ისტორიკოსები და ლინგვისტები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ წარმოაჩინონ ლაზური ფენომენის როლი კაცობრიობის ისტორიაში.

სწორედ ამ მიზანს ისახავს ჟურნალი „ოგნიც“ („სქანი ნენა“) და რაც უფრო ახლოს იქნება ჟურნალი ქართველ მეცნიერებთან, მით უფრო მეტს გააკეთებს ლაზეთისა და სრულიად საქართველოსათვის.

დიაოხი — ეს არის პირველი ტომობრივი გაერთიანება საქართველოს და, მაშასადამე, ლაზეთის ისტორიაშიც.

ცნობილი ქართველი მწერალი და ისტორიკოსი, „უქარქაშო ხმლების“ ავტორი ლევან სანიკიძე წერს, რომ იბერიადა ქრონოლოგიურად იწყება კოლხეთით. მე დავძენდი: იბერიაც და კოლხეთიც იწყება დიაოხით.

„დიაოხის“ ეტიმოლოგია და სემანტიკა მხოლოდ კოლხურ (ლაზურ) მეტყველებას შეუძლია ახსნას.

„დიაოხი“ — ქართველურ (კოლხურ) ღმერთ „დია“-ს წილხვედრ ქვეყანას ნიშნავს.

საოცარია სიტყვათა მოძრაობა საუკუნიდან საუკუნეში, ქვეყნიდან ქვეყანაში.

დიაოხის „დია“ ისმის მიქელანჯელოს გენიალურ ლექსში „ო, დიო, დიო, დიო!“, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

30. „იღუპება ლაზთა კულტურა, ენა, ისტორია, ეთნოგრაფია“...

ლაზური ქართველური ენაა, ლაზთა კულტურა საქართველოს კულტურაა. ამიტომ ჭეშმარიტი ქართველისათვის ტრაგიზმითაა აღსავსე ჟურნალ „ოგნის“ („სქანი ნენა“) ფრაზა „იღუპება ლაზთა კულტურა“.

საჭიროა საქართველომ გულთან ახლოს მიიტანოს ეს ფრაზა.

აუცილებელია თურქეთის ლაზებმა დახმარება თხოვონ დემოკრატიული თურქეთის პრეზიდენტს, მეჯლისს, თურქეთის სამოქალაქო საზოგადოებას, თურქეთის სამართლებრივ სახელმწიფოს, თურქ მწერლებს, მეცნიერებს, პოლიტიკურ პარტიებს, მეტი ნდობა გამოუცხადონ მათ. საქართველომ, გაერომ, იუნესკომ, გაეროში გაუერთიანებელი ხალხების მსოფლიო ორგანიზაციამ, უფრო მეტად უნდა იზრუნონ ლაზებზე.

უნდა ვიხსნათ ლაზთა კულტურა თურქეთში.

თურქეთისა და საქართველოს მთავრობებმა და პარლამენტებმა უნდა შეიმუშაონ სამთავრობათაშორისო ერთობლივი პროგრამა თურქეთის ლაზთა კულტურის გადასარჩენად. უნდა გავცვალოთ პროფესორები, სტუდენტები, ასპირანტები, გამოვცეთ წიგნები, გაზეთები, ჟურნალები... დავაარსოთ ფონდები, საერთაშორისო ასოციაციები ლაზთა კულტურის დასაცავად.

არსებობს საერთაშორისო წითელი წიგნი ფლორისა და ფაუნის გადასარჩენად. ამ შემთხვევაში კი მთელი ხალხის გადარჩენაზეა ლაპარაკი.

31. ჟურნალი „ოგნი“ („სქანი ნენა“) ედუარდ შევარდნაძის შესახებ

ჟურნალ „ოგნის“ ზოგიერთი დებულება ედუარდ შევარდნაძის შესახებ ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ისინი ან ტენდენციურია, ან სუბიექტური ან საერთოდ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ეს, ერთი მხრივ, ინფორმაციული ვაკუუმის შედეგია. მეორე მხრივ, იგრძნობა აფხაზ ექსტრემისტთა და ზვიადისტთა გავლენა.

სინამდვილეში კი ედუარდ შევარდნაძე ლაზი ხალხის დიდი ქომაგი და მეგობარია.

საქართველოს პარლამენტში ედუარდ შევარდნაძეს წლების განმავლობაში, 70-იან და 80-იან წლებში სწორედ საქართველოს ლაზები (მეგრელები) ირჩევდნენ. ის მათი დეპუტატი იყო.

ედუარდ შევარდნაძეს დიდი ამაგი მიუძღვის ლაზეთის სამეფოს დედაქალაქის სენაკის (არქეოპოლისის) არქეოლოგიური გათხრების ორგანიზაციაში, დაფინანსებასა და არქეოპოლისის შესახებ მეცნიერებათა აკადემიის მრავალტომიანი შრომების გამოქვეყნებაში.

მისი ინიციატივით საქართველოს მთავრობამ ამ საკითხზე სპეციალური დადგენილება მიიღო და განახორციელა.

დღეს ედუარდ შევარდნაძე ყველაზე მეტად ზრუნავს 230 ათას ლაზ (მეგრელ) ლტოლვილზე, რომლებიც აფხაზეთის კონფლიქტის გამო უსახლკაროდ დარჩნენ.

ედუარდ შევარდნაძე ბევრს აკეთებს ე. წ. „მესხეთელი თურქების“, მათ შორის ლაზების საქართველოში რეპატრიაციისათვის. ამ პრობლემის შესახებ წერს ჟურნალი „ოგნიც“ („სქანი ნენა“).

ედუარდ შევარდნაძის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ლაზია. უფრო ადრე, ისევ ედუარდ შევარდნაძის დროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი იყო დიდი ქართველი მეცნიერი, წარმოშობით კოლხი (ლაზი) აკადემიკოსი ილია ვეკუა, რომლის მეცნიერულ აღმოჩენებს მათემატიკასა და მექანიკაში მთელი მსოფლიო იცნობს.

რომელი ერთი ჩამოვთვალო...

ედუარდ შევარდნაძე ლაზების დიდი მეგობარია.

კარგს იზამს ჟურნალი „ოგნი“, თუ თავის შეცდომებს გაასწორებს და ობიექტურ მასალებს გამოაქვეყნებს თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსისა და დიპლომატის ედუარდ შევარდნაძის შესახებ.

32. ეგეოსის ზღვა, კოლხები (ლაზები) და საქართველო

დღეს ლაზები თურქეთში ეგეოსის ზღვის პირასაც ცხოვრობენ. ერთხელ ეგეოსის ზღვას მიარღვევდა ჩემი გემი და მე ლაზებზე ვფიქრობდი...

ძველი ბერძნული მითების თანახმად, ეგეოსი ათენის მეფე იყო. მის კარს ერთ დროს თავი შეაფარა არგონავტების მიერ მოტაცებულმა და შემდეგ დევნილმა კოლხმა (ლაზმა) პრინცესამ — მედეამ. ეგეოსს შეუყვარდა მედეა და მისგან ეყოლა ვაჟიშვილი მიდა.

ეგეოსის ზღვას კოლხეთის (ლაზეთის) მეფის აეტის სიძის, მედეას მეორე ქმრის სახელი ჰქვია, ლაზებო!

ეგეოსის ზღვა —თქვენი ზღვაა. შავ ზღვას ბევრ ძველ წყაროში „ლაზთა ზღვა“ ერქვა.

მინოტავრის მძლეველმა ეგეოსის შვილმა თეზევსმა (მედეას ვაჟის — მიდას ნახევარძმამ) საბედისწერო შეცდომა დაუშვა: მამასთან, ეგეოსთან დათქვა პირობა: თუ მინოტავრს სძლევდა, თავის გემზე შავი აფრები თეთრი აფრებით უნდა შეეცვალა და ისე დაბრუნებულიყო, თუ დამარცხდებოდა — გემზე შავი აფრები უნდა ყოფილიყო გაშლილი.

გამარჯვებულ თეზევსს დაავიწყდა აფრების შეცვლა და ეგეოსმა შვილის ხომალდზე შავი აფრები რომ დაინახა, იფიქრა თეზევსი დაღუპულაო და თავი ზღვაში დაიხრჩო. ამიტომ დაერქვა იმ ზღვას — ეგეოსის ზღვა! ასე ამბობს ბერძნული მითი.

მე უფრო ტრაგიკულ პრობლემებზე დამაფიქრა ამ ბერძნულმა მითმა.

ქართველებმა და ლაზებმა არ გავიმეოროთ ეგეოსის საბედისწერო შეცდომა. დავძლიოთ „ეგეოსის კომპლექსი“. იქნებ ნიშანი, რომელსაც გვაძლევენ ლაზები, სწორად ვერ აღვიქვით?! იქნებ ბევრი რამ თურქების გასაგონად და დასამშვიდებლად იყო ნათქვამი?

დიდი პრობლემები გვაქვს გადასაჭრელი.

33. რა ვქნათ? მივყვეთ დიდი ილიას გზას — ტაძრის გზას.

მოვიქცეთ ისე, როგორც ეკადრება დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის ერს.

ვიაროთ არა კაენის და სატანის, არამედ ტაძრის გზით.

მოვიქცეთ ისე, როგორც ერის მამა ილია ჭავჭავაძე მოიქცა, როცა ლაზისტანი მოკლე ისტორიული დროით შემოუერთდა საქართველოს XIX საუკუნეში!

რა გააკეთეს მაშინ ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა? ერის სხვა მამებმა?

მოთმინებით აუხსნეს პრესაში, ერთი მხრივ, ქართველებს, რომ ლაზები ქართველები არიან, ხოლო, მორე მხრივ, ლაზებს, რომ საქართველო მათი დედა-სამშობლოა.

დღეს უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს ამ მხრივ. ვიაროთ ილია ჭავჭავაძის გზით და არასოდეს არ დავმარცხდებით.

ლაზეთში, სამეგრელოში საქართველო დავინახოთ როგორც დიდმა ილიამ ბრძანა და ერის გაბზარული ცნობიერება გამთლიანდება. ილიას გზა — ტაძრის გზაა.

ვიმეორებ ქართველებია: ქართლელები, იბერიელები, კოლხები ზანები, ლაზები, ჭანები, მეგრელები, თუშები, ფშაველნი, ხევსურები, კახელები, იმერლები მოხევეები, გურულები, მესხები, რაჭველები, ლეჩხუმელები, ტაოხები, კლარჯები, შავშები, კოლაელნი, ტიბარენები, მოსინიკები, ხალიბები და ა. შ.

რამ გააერთიანა ამდენი ტომი, დიალექტი, კილოკავი ერთ ერად?

პირველ რიგში ლიტერატურულმა ენამ და ისტორიამ.

33 საუკუნე მუშაობდა ისტორია ამ ტომებისგან ერთიანი ქართველი ერისა და ერთიანი საქართველოს შესაქმნელად და ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს. განვითარება არ წყდება. ის მომავალშიც გაგრძელდება.

ერის შექმნა ერთჯერადი აქტი არ არის, ის პროცესია. ეს უნდა გავაცნობიეროთ. ლაზები ისტორიულად აქტიურად მონაწილეობდნენ და დღესაც მონაწილეობენ ამ პროცესში.

ცოტაა ითქვას, რომ ლაზი და ქართველი ღვიძლი ძმებია; — ლაზსა და ქართველს ერთი „მე“ აქვთ.

და ლაზეთის გვერდით მუდამ იდგა და ახლაც მტკიცედ დგას დედასაქართველო.

ლადო ალფენიძე,
მწერალი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.

თბილისი, 1994 წლის მაისი.

დასასრული, დასაწყისი იხ. „სრ“ № 74.

თვალსაზრისი

ხალხი მალე გამოფხიზლდება!

თანამემამულენო!

ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო რთულდება და მძიმდება, ეკონომიკური კრიზისი ღრმავდება, ეკონომიკა იშლება, არსებითი და თითქმის ყველაზე უარყოფითი შედეგი, რაც დღეისათვის ჩამოყალიბდა, არის ქვეყნის შინაგანი ბაზრის დაშლა, ჭეშმარიტებაა, რომ შინაგანი ბაზარი ყველა სახელმწიფოში და ყველა დროს ქვეყნის ერთიანობის საფუძველი იყო. შინაგანი ბაზარი არის ქვეყნის ცალკეულ რეგიონებსა და რაიონებს შორის კავშირ-ურთიერთობის გამოვლენის ფორმა და შინაარსი. ქვეყნის შინაგანი ბაზრის დაშლა ნიშნავს სახელმწიფოს დაქუცმაცებას პატარ-პატარა რეგიონებად, მის პრაქტიკულ დაშლას, რაც ფედერალიზმის მოტრფიალეებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. როგორც ჩანს, არიან ძალები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, რომლებიც სულაც არ არიან დაინტერესებულნი ერთიანი და ძლიერი საქართველოთი.

ამასთან, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მომხდარი მოვლენების და პროცესების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ეს ყველაფერი იმ პოლიტიკური წრეების გარიგების საგანია, რომლებიც არსებით როლს ასრულებენ საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში, რაც მიზნად ისახავს კავკასიის განაწილებას და მის ხელახლა გადანაწილებას. ამ პროცესებში უგულებელყოფილია საქართველოს სახელმწიფოს ისტორიული ინტერესები იმათ მიერ, ვინც ამ საქმეში მონაწილეობენ პირდაპირ და არაპირდაპირ. საქართველო პრაქტიკულად დაუცველია. ამას ემატება ზედმეტი თვითდაჯერება და დაბნეულობა. ამასთან, საზოგადოება სულ უფრო და უფრო ექცევა კრიმინალური და ეკონომიკური წნეხის ქვეშ.

როგორც ჩანს, აფხაზეთში დღევანდელი მდგომარეობა ფართო მასშტაბის საერთაშორისო შეთქმულების შედეგია, რომლის უკან ალბათ ვერაგობაში კარგად გაწაფული ზოგიერთი სპეცსამსახურები დგანან. ამ შეთქმულების მიზანია საქართველოსათვის აფხაზეთის ტერიტორიის ჩამორთმევა და მისი გაერთიანება ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ რესპუბლიკებთან, კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის შექმნა. ამ შეთქმულებაში სხვადასხვა საერთაშორისო ძალები მონაწილეობენ. ეს ოპერაცია კი ძირითადად, „ხელშეკრულების დადების და მისი ეტაპობრივი ჩაშლის პრინციპით განხორციელდა, რაც შეადგენდა ამ ვერაგული გეგმის სტრატეგიას და ტაქტიკას. მნიშვნელოვანი როლი ამაში შეასრულეს საქართველოში არსებულმა მეხუთე კოლონამ და პოლიტიკური ქიშპით შეპყრობილმა ძალებმა. სამწუხაროდ, ქართულმა სამხედრო-პოლიტიკურმა სტრატეგიამ ვერ გაშიფრა მოწინააღმდეგის ეს მზაკვრული ჩანაფიქრი. ვერც ხელისუფლებამ, ვერც საზოგადოებამ ვერ გამოიჩინეს ქართველებისათვის დამახასიათებელი წინდახედულება, შორსმჭვრეტელობა, საკუთარი ძალების სწორი შეფასების უნარი და სიბრძნე, წამოეგნენ მოწინააღმდეგის ანკესზე, ჩავარდნენ ილუზიაში და ისტორიული სასჯელიც სახეზეა!...

შეთქმულება კი უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე იგი აშკარად შესამჩნევი გახდებოდა. 1986-1989 წლებში მოხდა საქართველოს თავდაცვითი მრეწველობის კასტრაცია, მრეწველობისა, რომელსაც გააჩნდა უდიდესი შესაძლებლობები — ატომური იარაღით დაწყებული ბიოლოგიური იარაღის ჩათვლით... თავდაცვითი მრეწველობის საწარმოებიდან ამოღებული და გატანილი იქნა საბჭოთა სამობილიზაციო გეგმით გათვალისწინებული ტექნიკური და ტექნოლოგიური დოკუმენტაციები. 1989 წელს ერთ-ერთი ქარხნიდან გატანილი იქნა ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებისათვის საჭირო ღრმა ბურღვის ჩარხები და თერმული დამუშავების აპარატურა. ამავე პერიოდში კარგად ორგანიზებული ფინანსური ანტისისტემის საშუალებით რესპუბლიკიდან საზღვარგარეთ გადიოდა და დღესაც გადის ინფლაცირებულ ქაღალდის ფულზე გადაცვლილი მყარი ვალუტა. ამავე პერიოდში, მარიონეტული პოლიტიკური ძალების მიერ ორგანიზებული პროცესები შეიცავდნენ საზოგადოების პოლიტიკური პოლარიზაციის, მისი პოლიტიკური დაშლის დაძაბული ფეთქებადი ვითარების შექმნის, კრიმინალური სამყაროს „აშვების“, სახელმწიფოს სრული ეკონომიკური დაუძლურების აშკარა ნიშნებს. მიუღებელი აღმოჩნდა სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკა და მისი განხორციელების სტრატეგია და ტაქტიკა, რაც აფხაზეთის პირობებში გამოიხატებოდა უკიდურესი მიამიტობით და ართმიულობით, რაც მოწინააღმდეგეს სულის მოთქმის, ძალთა გადაჯგუფების და ხელახალი ორგანიზების საშუალებას აძლევდა. აფხაზეთის ამბებში უაღრესად უარყოფითი როლი შეასრულა ტყვარჩელის ზონის სტრატეგიული მნიშვნელობის შეუფასებლობამ. ეს იქნებ დეტალებია, მაგრამ ისეთი დეტალები, რომლებიც არსებითს შეიცავენ. გაუგებარია საქართველოს მრეწველობის მდგომარეობაც. მართალია, საქართველოს მრეწველობა შერყეულია (გაძარცულია), მაგრამ მას კვლავ დიდი საბაზისო შესაძლებლობები დარჩა და თუ ზოგიერთ წრეებს შეიარაღების წარმოება შესაძლოდ არ მიაჩნიათ, ხომ არის შესაძლებელი ფორმის ტანსაცმლის ან სასანგრე ნიჩბების წარმოება? მთელი საომარი მოქმედების მანძილზე არ გაცემულა არც ერთი სამხედრო კრედიტი, კომერციული დანიშნულებით კი რამდენიც გნებავთ! ჩვენ შეიძლება დღეს ბოლომდე ვერ შევძლოთ აფხაზეთის ტრაგედიის შეფასება, ვერ დავასახელოთ ნამდვილი მოღალატენი, მაგრამ ამას ისტორია გააკეთებს.

ერთი რამ ნათელია: ამ ომის სცენარი დაწერილია თბილისიდან შორს, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ისტორიის მსვლელობა მაინც აღმავალია, დრო თავისას იტყვის, აფხაზეთი მაინც საქართველო იქნება.

გაოგნებული, მონუსხული ხალხი გამოფხიზლდება და თავად გამოუტანს განაჩენს მისი დასამარების მსურველთ. საქართველო დაასაფლავებს თავის მესაფლავეებს!..

გურამ უსტიაშვილი,
დემოკრატიული პარტიის თანათავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი.

არქივიდან

ისტორია მეორდება

თანამედროვე პერიოდის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას, სხვებთან ერთად, ორი მნიშვნელოვანი ასპექტი ახასიათებს — აგრესიული სეპარატიზმი და პროვინციული ფაშიზმი.

თუ აფსუათა აგრესიული სეპარატიზმი არ ახალია, თურმე ფაშიზმისათვის დამახასიათებელი ბარბაროსული და ვანდალური მოპყრობაც მშვიდობიანი მოსახლეობისადმი ძველი ფესვების მქონე ყოფილა.

ეს ყოველივე კარგად ჩანს ერთი საინტერესო დოკუმენტიდან, რომელიც პოლიტიკური პარტიების არქივშია დაცული. იგი წარმოადგენს რუსულ ენაზე საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის პირველ პირს, რომელიც ეკუთვნის მ. ი. ტარნავას და დათარიღებულია 1941 წლის 15 სექტემბრით.

მ. ი. ტარნავა აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ცნობილი კაცი გახლდათ. მენშევიკური პარტიის წევრი 1917 წლიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ 1919 წელს იგი მათ ჩამოშორდა, სხვებთან ერთად აფხაზეთის სახალხო საბჭოში შექმნა სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტთა ფრაქცია და აქტიურად იბრძოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ, ყოველნაირად ცდილობდა აფხაზეთი ჩამოეშორებინა საქართველოსაგან და მიეერთებინა რუსეთისათვის.

გასაბჭოების შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ ი. მ. ტარნავა სასწავლებლად გაგზავნა მოსკოვში. პლეხანოვის სახელობის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოებზეა, ბოლოს კი საადვოკატო პრაქტიკას ეწეოდა. დიდხანს დაჟინებით ცდილობდა კომპარტიის რიგებში შესვლას, მაგრამ არ მიიღეს.

მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში, განსაკუთრებით კი გერმანიაში ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ, მ. ი. ტარნავას, ზოგიერთ თანამოაზრესთან ერთად, ფაშისტური მსოფლმხედველობა უყალიბდება, ხოლო ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მერე ისინი ქმნიან ორგანიზაციულ სტრუქტურებს, რომელთა მიზანი იყო ხელი შეეწყოთ ფაშისტების მოსვლისთვის აფხაზეთში და გარკვეულ მუშაობას ეწეოდნენ მათ დასახვედრად.

საბედნიეროდ, ამ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა. და ამაში თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს ღირსეულმა შვილებმა, მათ შორის აფხაზებმა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ კაცობრიობის ბრძოლაში.

სამწუხაროდ, ისტორიის ჭკუის სასწავლო გაკვეთილები ვიღაცეებმა პირწმინდად დაივიწყეს თუ არ სურთ გაიხსენონ.

ამაოდ! ისტორიას არ უყვარს ჩარხის უკუღმა ტრიალი!

ქვემოთ მოგვყავს ნაწყვეტები აღნიშნული დოკუმენტიდან ზოგიერთი შემოკლებით, რომელთაც კავშირი არა აქვს პუბლიკაციის მიზანსა და კომენტართან. თარგმანი ჩემია. ქართულ ენაზე ქვეყნდება პირველად.

„ვერ შევურიგდი რა საქართველოს მენშევიკური პარტიის ეროვნულ პოლიტიკას აფხაზეთის საკითხში, მე გამოვედი საქართველოს მენშევიკური პარტიიდან... და შევქმენი ჩემი ფრაქცია სოც. დემ. ინტერნაციონალისტთა სახელწოდებით.

ფაქტობრივად ჩვენი ფრაქცია შეუერთდა ეგრეთ წოდებულ დამოუკიდებელ სოციალისტთა ფრაქციას.

ჩვენი ოპოზიციური ბლოკი თავის მუშაობაში აკრიტიკებდა საერთოდ აფხაზეთის მიმართ და კერძოდ ეროვნულ საკითხში საქართველოს მენშევიკური მთავრობის პოლიტიკასა და ღონისძიებებს.

გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან ჩვენი ბლოკი სხვადასხვანაირად ხედავდა. ერთნი მაისწრაფოდნენ დენიკინისაკენ, მეორენი თურქეთისაკენ და მესამენი საბჭოთა რუსეთისაკენ.

იდეოლოგიურად ყველაზე ახლო გავერთიანდით ს. დ. ინტერ. და დამოუკიდებელ სოციალისტთა ფრაქციები, ე. ი. ფაქტობრივად: მე, ალანია, მარღანია, ჭანბა და ცაგურია, რომლებიც ყველანი ერთად ვატარებდით საბჭოთა რუსეთთან (რსფსრ) შეერთების პოლიტიკას და ტაქტიკას. ამიტომ ჩვენ ოფიციალური ბოიკოტი გამოვუცხადეთ საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებს აფხაზეთში, რათა სახელმწიფოებრივად კიდევ უფრო არ დაგვეკავშირებინა აფხაზეთი ეგრეთ წოდებულ საქართველოს დემოკრატიულ (მენშევიკურ) რესპუბლიკასთან და ჩვენს ურთი[illegible]ში საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან აფხაზეთის ავტონომიისა და კონსტიტუციის საკითხებში ვატარებდით შეთანხმებათა ჩაშლისა (ხაზი ჩემია. ი. შ.). **და მენშევიკური მთავრობის საქმიანობის კრიტიკის პოლიტიკას.**

ვმოქმედებდით რა ასე, ერთდროულად ჩვენ ვეძებდით რსფსრ-თან შესაძლო ურთიერთობისა და მასში შესვლის გზებს“.

რა ორი წვეთი წყალივით ჰგავს ყოველივე ეს არძინბასა და მისი დამქაშების დღევანდელ მოქმედებას!

როცა ახასიათებდა საბჭოთა ხელისუფლებას, მ. ი. ტარნავა წერდა, რომ იგი **„მიუღებელი იყო მისთვის პირადი დაჯინაურებისა** (ხაზი ჩემია. ი. შ.) **და აფხაზეთის ეროვნული საქმის თვალსაზრისით“.**

როცა აფასებს ომისწინანდელ მოვლენებს, მ. ი. ტარნავა აგრძელებს: **„ამასთან ერთად თვით ფაშისტური გერმანია მიზიდავდა თავისი სახელმწიფო კაპიტალიზმის ეკონომიკური პოლიტიკით, წვრილი და საშუალო კერძო საკუთრების ცნობით და თავისი ეროვნული პოლიტიკით, რადგან მივიჩნევდი, რომ ასეთი წყობა, კერძოდ აფხაზეთისათვის საუკეთესო იქნებოდა მისი ეროვნული და სამეურნეო განვითარებისათვის.**

გერმანიის მიერ სსრ კავშირის წინააღმდეგ დაწყებულმა ომმა და გერმანიის წარმატებებმა ამ ომში კიდევ უფრო განმაწყო აფხაზეთის ფაშისტურ ყაიდაზე გარდასაქმნელად, ამიტომ ვუცდიდი და მსურდა, რომ აფხაზეთში საბჭოური ფაშისტური ხელისუფლებით შეცვლილიყო, რათა ახალი წყობისას გერმანიის ხელმძღვანელობითა და მითითებით, მისი წყობისა და მართვის ფორმების შესაბამისად, ხელი მოგვეკიდებინა გარდაქმნისათვის აფხაზეთში. რა თქმა უნდა, ვითვალისწინებდი მონაწილეობა მიმეღო ამ საქმეში და ვყოფილიყავი საკუთარი ხალხისა და მხარის ცნობილი და სასარგებლო მოღვაწე.

სწორედ ამიტომ მივიღე ის მითითებები და დავალებები, რომლებიც მომცა ბასარიამ და სხვებთან ერთად ვამზადებდი გერმანელებთან შეხვედრას აფხაზეთში.

ივანე შენგელაია,
საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პოლიტიკური პარტიების არქივის დარგში, ისტორიის მეცნიერებათა კან. დიდატი.

მონოგრაფია საბაზრო ეკონომიკაზე

წიგნის თარო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 75-ე წლისთავს მიეძღვნა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის მონოგრაფია, რომელიც ამავე უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა.

ჩვენს ქვეყანაში, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესი, თუმცა საზოგადოება, მმართველი წრეები სრულიად მოუმზადებელი შეხვდნენ თავისუფალი მეწარმეობის პრინციპების დამკვიდრებას. პირველი შედეგებიც შემაშფოთებელია. ამის მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთი უთუოდ არის საბაზრო სტრუქტურებზე გადასვლისათვის მეცნიერულ-თეორიული და პრაქტიკული წინამძღვრების შეუმუშავებლობა. ჩვენ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დავიწყეთ ბრმად, წინასწარი სტრატეგიის და ტაქტიკის გარეშე, სხვისადმი გაუაზრებელი მიბაძვით და ემოციებზე დაყრდნობით.

პროფესორ რ. ასათიანის ნაშრომი გარკვეულწილად ავსებს ამ ვაკუუმს. იგი ქართულ ენაზე პირველი სერიოზული მონოგრაფიული გამოკვლევაა, რომელშიც კომპლექსურად და სისტემატურადაა შესწავლილი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის თეორიული და გამოყენებითი ასპექტები.

მონოგრაფიაში სიღრმისეულადაა გამოკვლეული მომსახურების ბაზრის ფორმირების ეტაპები. ავტორი სავსებით არგუმენტირებულად ცხადად ასაბუთებს, რომ ბაზარი არ არის კვლავწარმოების ერთადერთი და ყოვლისშემძლე რეგულატორი, რომ მას თან სდევს სერიოზული ნეგატიური მოვლენები: არ შეუძლია მოსპოს უმუშევრობა, ქმნის ინფლაციის და ცალკეულ მეწარმეთა გაკოტრების პირობებს, იწვევს შემოსავლების დიფერენციაციის და მათ უსამართლო განაწილებას, ამასთან, ავტორი სამართლიანად მიუთითებს შეზღუდული არასაბაზრო სექტორის არსებობის აუცილებლობაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გარემოს დაცვა, ეროვნული უშიშროება, გადაჭრას სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებული პრობლემები და ა. შ. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მონოგრაფიაში სწორადაა წარმოდგენილი სახელმწიფოს როლი საბაზრო ურთიერთობათა რეგულირებაში.

მსხვილ პრობლემათა გვერდით ავტორს ორიგინალურად აქვს შესწავლილი და დამუშავებული წინადადებანი საქართველოში პრივატიზაციის სწორად წარმართვისათვის. იგი იძლევა რეკომენდაციებს რესპუბლიკაში ახალი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების, ჯანმრთელობის დაცვის, შერეული სადაზღვევო სისტემის დანერგვის მიზანშეწონილობის შესახებ.

ამ დღეებში პროფ. როზეტა ასათიანს აღნიშნული მონოგრაფიისათვის მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1993 წლის სამეცნიერო პრემია.

მონოგრაფია დიდ დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში. ნაშრომის ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მას თან ახლავს საკმაოდ ვრცელი დასკვნა რუსულ ენაზე, რაც საშუალებას მისცემს უცხოელ მკვლევარებს გაეცნონ ქართველი მეცნიერის ორიგინალურ გამოკვლევას. იგი დააინტერესებს როგორც მეცნიერებს, ასევე სტუდენტ ახალგაზრდებსაც.

იაკობ მესხია,
ფინანსების და სტატისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ინფორმაცია

ხსოვნის დღე კუნძულ ტექსელზე

4 მაისს ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე აღინიშნა ხსოვნის დღე, რომლის დროსაც პატივი მიაგეს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ჰოლანდიელ და უცხოელ მებრძოლთა ხსოვნას.

საზეიმო ცერემონია გაიმართა იმ ქართველ მებრძოლთა სასაფლაოზე, რომლებიც იბრძოდნენ ტექსელზე გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. ცერემონიაში მონაწილეობდნენ ტექსელის ბურგომისტრი და საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, ასევე საქართველოს ელჩი ბენილუქსის ქვეყნებში ზურაბ აბაშიძე.

ეს ინფორმაცია მოგვაწოდა ბენილუქსის ქვეყნებში და ევროგაერთიანებასთან საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს პრესსამსახურმა.

საქველმოქმედო საღამო

გურჯაანში მოეწყო კახეთის რეგიონის „საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა" საქველმოქმედო საღამო, რომლის ინიციატორები იყვნენ მაშველთა კორპუსის კახეთის რეგიონული სამსახური და სოფელ ვაჩნაძიანის კულტურის სახლი. მონაწილეობდნენ გურჯაანის, თელავისა და საგარეჯოს ფოლკლორული ანსამბლები და თვითმოქმედი კოლექტივები.

საღამოზე შემოსული შემოწირულობანი მთლიანად დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარების ფონდში ჩაირიცხა.

თავდასხმა პოლიციის საგუშაგოზე

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 4 მაისს, 23 საათსა და 30 წუთზე საგზაო პოლიციის ნატახტარის საგუშაგოს თავს [illegible] „ნუხბითა" და ავ[illegible]ტური იარაღით შეიარა[illegible]ული 15 საზედრო[illegible]იანი ბოროტმოქმედი. [illegible]დიტებმა ფიზიკური [illegible]ერაცხყოფა მიაყენეს პოლიციის 10 თანამშრომელს, საგუშაგოს გაუხსნეს ცეცხლი. თავდამსხმელებმა გა[illegible]ტაცეს ავტომატი, პისტოლეტები და უნომრო „რაფით" გორის მიმართულებით მიიმალნენ.

მოკლეს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით 4 მაისს, მცხეთის რაიონის დაბა ზაჰესში, ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე ავტომატური იარაღიდან გასროლით, ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა მოკლეს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი ზაქრო ზედელაშვილი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. დასავლეთ საქართველოს ზონის საგანგებო სიტუაციათა დროებითი კომიტეტის ინფორმაციის თანახმად, ამჟამად ჩხოროწყუს რაიონში გამზადებულია 500 ტონა ჩაის პროდუქცია, მაგრამ ვერ ხერხდება მისი ბარტერულ ბრუნვაში მოქცევა.

თბილისი. ფოთის ნავსადგურის ხელმძღვანელობამ დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციათა ზონაში შეიტანა 4.000 ტონა მაღალხარისხოვანი იტალიური ბენზინი.

თბილისი. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს მონადირეთა კავშირს 20-25 წლით მიამაგრეს ტყის ფონდისა და სოფლის მეურნეობისათვის ნაკლებად გამოსაყენებელი 785.508 ჰექტარი მიწა მიზნობრივი გრძელვადიანი სანადირო მეურნეობების მოსაწყობად. მონადირეთა კავშირი ამ ფართობს გამოიყენებს გარეული ცხოველებისა და ფრინველების — ხოხბის, ირმის, ღორისა და სხვ. მეურნეობების მოსაწყობად. მონკავშირი იმედოვნებს, რომ ამ მეურნეობების წყალობით მომავალში ვალუტით მიიღებს შემოსავალს...

ᲖᲐᲥᲛᲔᲛᲐᲜ ᲨᲔᲜᲛᲐᲜ...

ინიციატივა

„ᲗᲔᲗᲠᲘ ᲥᲝᲠᲘᲡ" ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝ ᲜᲐᲛᲣᲨᲐᲙᲔᲕᲘ

დღეს ცხადად გამოჩნდა, რომ ჩვენმა ზოგიერთმა ბიზნესმენმა კარგად ვერ გაითავისა ახალი დროის სამეურნეო საქმიანობის აზრი და მოთხოვნილება. იმის მაგიერ, რომ ქვეყანა მართლა „საზელოხნოს" დამსგავსებოდა და რეალურად რაღაც გვეკეთებინა, თუნდაც ერთი ბანკი დაგვემზადებინა, რესპუბლიკა ერთ დიდ სავაჭრო მოედნად გადავაქციეთ და „აქ ვიყიდი, იქ გავყიდის" პრინციპით ვცხოვრობთ. არადა, ქვეყანა მეწარმემ უნდა გადაარჩინოს. მათი ნიჭი, უნარი ისე გვჭირდება დღეს, როგორც არასდროს. თუმცა ამ საქმეს მხარში უპირველესად მთავრობა უნდა ამოუდგეს და სიახლის დანერგვაზე იზრუნოს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თეთრი ქორის" პრეზიდენტს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს ზურაბ შანიძეს და ვიცე-პრეზიდენტს ზურაბ თადუმაძეს თითქმის შეუძლებელ პირობებში მოუხდათ მუშაობა, მაგრამ ამის გამო ფარხმალი არ დაუყრიათ. ხუთი წლის წინათ მათ ჩამოაყალიბეს კოოპერატივი და ძირითადად სამრეწველო დანიშნულების პროდუქციის — სამედულებლო ტექნიკის წარმოება დაიწყეს. ამ საქმეში გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. ამის ერთ-ერთი დასტური ისიც გახლავთ, რომ მათი ლიცენზია გერმანიაში გაიყიდა. გარდა ამისა, მისი ავტორები ყოფილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის ლაურეატები გახდნენ.

შარშან ივლისიდან „თეთრმა ქორმა" მიმართულება შეიცვალა. აქ დაიწყეს სიხშირისა და ძაბვის სტაბილიზატორების დამზადება, რომლებიც გამოიყენება მეტროპოლიტენისა და რკინიგზის ავტომატიკის წრედებში, გამოთვლით მანქანებში, ტელემექანიკაში, მომავალში კი ვარაუდობენ იგი საყოფაცხოვრებო დანიშნულებითაც გამოიყენონ.

წლეულს რა ძნელი ზამთარი გადავიტანეთ, ყველასათვის ცნობილია. ისიც ვიცით, რომ ენერგეტიკული კრიზისის დროს, როცა ენერგოსისტემა ვერ უზრუნველყოფს ნომინალურ სიხშირესა და ძაბვას, მწყობრიდან გამოდის ავტომატური მოწყობილობა, ტელემექანიკის სისტემები აღარ ამუშავებენ ინფორმაციას, ზიანდება მაცივრები, ტელევიზორები. რომ იტყვიან, სწორედ სულზე მოგვისწრო „თეთრი ქორის" სიხშირისა და ძაბვის სტაბილიზატორებმა, ეს მოწყობილობები უმალ დაინერგა თბილისის მეტროპოლიტენში, რამაც მის მუშაკებს ენერგიის დეფიციტის პირობებში მუშაობა გაუადვილა. ეს მოწყობილობები რომ არა, ჩვენი მეტრო საერთოდ ვეღარ იმუშავებდა. აკი, თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსმა გურამ გაბუნიამ მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთ სხდომაზე განაცხადა კიდეც — ამ ზამთარს თუ მეტროპოლიტენმა იმუშავა, ამაში დიდი წვლილი „თეთრი ქორის" მიუძღვის.

ეს სიახლე, რკინიგზაზეც დაინერგა, კერძოდ, მოწყობილობა „თბილისი-კასპის" მონაკვეთზე დაამონტაჟეს. მომავალში გათვალისწინებულია იგი მთელი რესპუბლიკის მასშტაბით დაინერგოს. გარდა ამისა, მას „საქენერგოში" გამოთვლით ტექნიკასა და ტელემექანიკაშიც იყენებენ.

საზოგადოება „თეთრი ქორის" მესვეურთა აზრით რესპუბლიკის ეკონომიკას მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული პროდუქციის წარმოება თუ იხსნის. ყველამ საკუთარი პროდუქციის შექმნაზე უნდა ვიზრუნოთ, სხვანაირად ვერ შევძლებთ ჩვენი ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ ინვესტიციები გადაგვარჩენს, მაგრამ სანამ ჩვენთან უცხოელები რეალურად ფეხს მოიკიდებენ და რამეს შექმნიან, მოდით, ჩვენ თვითონ გამოვიყენოთ ეს დრო და რაღაც ვაკეთოთ. გასული ხუთი წელი რომ მაქსიმალურად გამოგვეყენებინა და რეზერვები აგვემოქმედებინა, ახლა სამანეთო ზონაში შესვლაზე აღარ ვიფიქრებდით, ცხადზე უცხადესია, რომ კუპონს მხოლოდ საკუთარი ნაწარმი, ჩვენი ოფლითა და შრომით შექმნილი პროდუქცია გაამაგრებს. კუპონის საყრდენი საქონელია. ბევრი ნიჭიერი მეწარმე საქართველოს მიღმა შრომობს და იღვწის, არადა, მათი ინტელექტუალური პოტენციალი სწორედ ახლა სჭირდება საქართველოს.

პირველ ხანებში არც „თეთრ ქორს" ჰქონია ია-ვარდით მოფენილი გზა, დასაწყისში თითქოს არ გამოსდიოდათ, საწადელს ვერ აღწევდნენ, მაგრამ წვალობდნენ, კამათობდნენ, თოვლსა და ჭყაპში ათობით კილომეტრს ფეხით გადიოდნენ, ავადმყოფობას არ უშინდებოდნენ, ოღონდ რაღაც გამოსავალი ეპოვათ. დახმარება არავისთვის უთხოვიათ, კრედიტი არსაიდან აუღიათ, მიუხედავად ამისა, ბოლოს საწადელს მაინც მიაღწიეს. ფაქტია, მეტრო, თბილისელთა ეს ერთადერთი საიმედო ტრანსპორტი რომ არა „თეთრი ქორი", ჯერ კიდევ სექტემბერში შეიძლებოდა გაჩერებულიყო, ინიციატივამ და დიდმა მონდომებამ თავისი გაიტანა, საერთო საქმისთვის გაღებულ შრომას ფასი არ დაედება.

ლალი ქინქლაძე.

• • •

სურათზე: ზურაბ შანიძე და ზურაბ თადუმაძე.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

ღვაწლი

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲣᲐᲡᲐᲙᲝᲐ...

საქართველოს სახალხო მხატვარს დავით (დუდა) გაბაშვილს დაბადების 80 წელი შეუსრულდა. ბატონი დუდა ის მხატვარი გახლავთ, რომლის შემოქმედების გარეშე ძნელია საუბარი თანამედროვე ქართულ გრაფიკაზე, საერთოდ ქართულ სახვით ხელოვნებაზე. დიდია მისი დამსახურება, როგორც პროფესორ-პედაგოგისა, თაობათა აღზრდისა და დაოსტატების საქმეში, ცოტა მეგულება ხელოვანი, ისეთივე მკაცრი, მომთხოვნი და უშეღავათო სხვისა თუ საკუთარი შემოქმედების მიმართ, როგორიც ბატონი დუდაა. ყველა ნაწარმოები, რომელიც კი მის ხელს შეუქმნია, ნიმუშია ნიჭიერების, მაღალი პროფესიონალიზმისა და დიდი შინაგანი კულტურის სუბლიმაციისა.

მისი შემოქმედება არ გახლავთ მხოლოდ სპონტანური განცდის საფუძველზე აღმოცენებული მხატვრული შედეგი, იგი კლასიკურ ტრადიციებზე აღზრდილი ხელოვანია, რომლის ყოველ ხაზს, ფერსა თუ ფორმას, მაღალი ინტელექტი აკონტროლებს და ჰარმონიულად აწონასწორებს. სახვითი ხელოვნების რომელ ჟანრშიც უნდა გაამჟღავნოს თავისი ნიჭი და ოსტატობა, მისი შექმნილი მხატვრული ფორმა, ვგულისხმობ მის სპეციფიკურ ნიშან-თვისებას, სივრცობრივია და სკულპტურული. ამიტომაც, პროფესიით გრაფიკოსი, მრავალი შესანიშნავი სკულპტურული პორტრეტის ავტორია. მისი „დავით კაკაბაძე", „სოსო გაბაშვილი", „მეუღლის პორტრეტი" და სხვა, ქართული ქანდაკების საუკეთესო ნიმუშებია. მასვე ეკუთვნის დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დავით კაკაბაძის სამარხის მშვენიერი არქიტექტურული კომპოზიცია. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში ფერწერულ ტილოს „თამარ მეფე", რომელიც ჩემი ღრმა რწმენით, მხატვრული ღირებულებით ისტორიულ თემაზე შექმნილი სხვა ქართველ ხელოვანთა ნაწარმოებებს შორის გამორჩეულია. მხატვარი ამ ნაწარმოებში, ერთგულია რენესანსული მხატვრობის დიდი ტრადიციებისა და თავისი კოლორიტით, პერსონაჟთა ინდივიდუალური დახასიათებით, უაღრესად გამომსახველი და ეროვნული სულის გამომხატველია. სამწუხაროდ, ეს ნამუშევარი ჩვენს კრიტიკას სათანადოდ არ შეუფასებია. ცხადია, ამ ნამუშევრისადმი ცალკეულ ხელოვნებათმცოდნეთა ობიექტური დამოკიდებულება არა მაქვს მხედველობაში.

დუდა გაბაშვილის შემოქმედება, დღეს საყოველთაოდ თავისუფლების სტატუსით მონათლული ესთეტიკური აზროვნების ფონზე, „აგრესიული ავანგარდიზმის" და სხვა ე. წ. იზმების ჰექა-ქუხილში, დაბალი ხმით მოლაპარაკე გვერდზე გამდგარი ადამიანის მონოლოგს მაგონებს, „სულიერ გამოდარებას" რომ ელოდება. რომელსაც სჯერა, რომ ხელოვნებას მოდაზე უფრო დიდი მტერი არა ჰყავს და ყოველი მოდა შემოქმედის მიწიერი ბედნიერების, აწმყოშივე, სულიერი განცხრომისა და კმაყოფილების მაცდუნებელი ფენომენია. მას არაფერი აქვს საერთო მხატვრული ფორმის თავისთავად მხატვრულ ღირებულებასთან, დროსა და სივრცეში ამა თუ იმ დარგში ჭეშმარიტი ტალანტის მიერ შექმნილი ნაწარმოების სპეციფიკურ ენა-მეტყველებასთან.

ბატონი დუდას შემოქმედება ახალგაზრდობას ბევრჯერ შეახსენებს ძველ ჭეშმარიტებას — უზენაესის ნიჭით მირონცხებული ხელოვნება უასაკოა და მას წლები, ვერც 80 და ვერც ათჯერ ოთხმოცი, ვერაფერს აკლებს. ამის დადასტურებაა მსოფლიო კულტურების ისტორია. მე მჯერა ბატონ დუდა გაბაშვილის შემოქმედების, რომელიც აღმოცენებულია მხატვრის ღრმა ინტელექტით გაწონასწორებულ გრძნობების სიმართლეზე, ნიჭიერებისა, დიდ შინაგან პასუხისმგებლობასა და კულტურაზე, გაუფასურება და დავიწყება არ უწერია. ქართულ მხატვრობაში მას საკუთარი ადგილი აქვს და მომავალშიც ექნება.

მინდა ბატონ დუდას საქართველოს მხატვრების, კოლეგების სახელით მოვულოცო ეს საიუბილეო თარიღი და ვუსურვო ჯანმრთელობა და კიდევ ბევრი შემოქმედებითი სიხარული.

ელგუჯა ამაშუკელი.

• • •



სურათზე: დავით გაბაშვილის ფერწერული ტილო „თამარ მეფე".

ᲕᲔᲠᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ათენის მიდამოებში, მდინარე ვერის ხეობის მარცხენა ნაპირზე, მართლაც რომ მშვენიერი ტაძარი დგას, ადგილობრივი მოსახლეობა ვერეს ღვთისმშობლის ეკლესიას უწოდებს, ხალხში შემონახულ ერთ ლეგენდას თუ ვერწმუნებით, ღვარცოფის მოვარდნისას დაბა ვერეს მოსახლეობა აყრილა, თბილისის მახლობლად, ხევის პირას ჩასახლებულა და ასე შექმნილა ვერელების უბანი. იმასაც უწყიან, რომ მოვარდნილმა ღვარცოფმა VI საუკუნის უნიკალური ისტორიული ძეგლი სერიოზულად დააზიანა. მას ვახუშტი ბატონიშვილიც იხსენიებს საქართველოს სამეფოს აღწერაში... „ვერის დაბის დასავლეთით არს დანახვის მთის ძირს, მონასტერი კეთილმშვენიერი ყოვლადწმინდისა".

სამეცნიერო-სარესტავრაციო არქიტექტურული კოოპერატივი აქ შეუდგა სამეცნიერო სამუშაოების წარმოებას. შესრულდა დიდი მოცულობის კვლევითი სამუშაო. პირველ რიგში ძეგლი ეკალბარდებისაგან გაწმინდეს.

ვერეს ეკლესია დღეს ძლიერად არის დაზიანებული: მთლიანად ჩაქცეულია ცენტრალური ნავის კამარა, მთელ სიმაღლეზე გაბზარულია აღმოსავლეთის კედელი, ჩრდილოეთის კედელს შემოცლილი აქვს პერანგის ქვები. ქვა-ღორღს დაუფარავს ეკლესიის ორ მესამედზე მეტი და მისი მიმდებარე ტერიტორია გალავნისა და სამრეკლოს ჩათვლით.

ტაძრის შენობა ამჟამად დანგრევის საშიშროების წინაშე დგას. ასაგებია ბეტონის საყრდენი კედელი. ასევე საშიშია აღმოსავლეთის ფასადიდან მიწის გატანა-გასუფთავება, პერანგისა და საპირე ქვები ძალზე მორყეულია.

ამ უნიკალური ძეგლის სავალალო მდგომარეობის გამო გორის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა გოგი მინდიაშვილმა გვითხრა: გორის რაიონისთვის, ისევე როგორც მთელი საქართველოსათვის, დამახასიათებელია მთელი ყურადღების თვალსაჩინო ძეგლებზე გადატანის ტენდენცია. ეს კი სხვა ძეგლებისათვის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. ჩვენი ღრმა რწმენით მეტად საჭირო და დროული გაფრთხილებაა.

ირაკლი ხვედელიძე.
პედაგოგი, ომისა და შრომის ვეტერანი.

ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ-ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

5 მაისს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის კავშირი, რომლის პრეზიდენტია 15 წლის ქუთაისელი მოსწავლე ანზორ კაჭახიძე.

მოსწავლე-ახალგაზრდობის კავშირი პირველად ქუთაისში შარშან 5 აგვისტოს დაარსდა. ამ ხნის მანძილზე კავშირმა არაერთი კეთილი საქმე გააკეთა, დაეხმარა ობოლ და ინვალიდ ბავშვებს, მრავალშვილიან ოჯახებს. მოსწავლე-ახალგაზრდობის კავშირი თანატოლებს მოუწოდებს კავშირის ფილიალები შექმნან რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

ჩვენი მისამართია: თბილისში — ჩუბინაშვილის ქ. 75, ქუთაისში — ზმიდტის ქ. 69-ა.

ხსოვნა

ᲐᲑᲔᲡᲐᲚᲝᲛ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ

მოულოდნელად გარდაიცვალა აბაშის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის წევრი, სახელმწიფო ქონების მართვის რაიონული განყოფილების გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი აბესალომ ვალერიანის ძე ასათიანი.

დაიბადა 1939 წელს მარტვილის რაიონის სოფელ სერგიეთში, პედაგოგების ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ამავე სოფლის კოლმეურნეობაში. სოფელთან, მიწასთან და მშრომელ ადამიანებთან არის დაკავშირებული მთელი მისი მოღვაწეობა.

წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ავტორია 12 სამეცნიერო შრომის და გამოგონების. სხვადასხვა დროს იყო დმანისის რაიონის „საქსოფლტექნიკის" განყოფილების ინჟინერი, სამტრედიის, აბაშის „საქსახკომსოფლტექნიკის" გაერთიანების მმართველი, სახალხო კონტროლის აბაშის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ყველა, ვინც იცნობდა ბატონ აბესალომს, მასში ხედავდა თავისი საქმის ნამდვილ პროფესიონალს. იგი გამოირჩეოდა მუდმივად ახლის ძიებით, უნარიანად უხამებდა ერთმანეთს მეცნიერების მიღწევებს და პრაქტიკულ ყოველდღიურობას. იყო არაერთი მოწინავე თაოსნობისა და ინიციატივის წამომწყები და ორგანიზატორი, ახალგაზრდობის აღმზრდელი და მასწავლებელი. მისი, როგორც ხელმძღვანელის ნიჭი ნათლად გამოვლინდა რაიონში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვისა და კოორდინაციის ახალი სისტემის შექმნის საქმეში. ა. ასათიანის ხელმძღვანელობით დაიწყო და მიმდინარეობდა რაიონში პრივატიზაციის პროცესი. იყო ამ საქმის კარგი ორგანიზატორი.

ღირსეული პიროვნების, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულის ჭეშმარიტი მამულიშვილის, ბატონ აბესალომ ასათიანის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულებში.

აბაშის რაიონის გამგეობა.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲡ

შეიქმნა აფხაზეთის ხსნის ფონდი, რომელიც ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გაერთიანებაა. მისი ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ლტოლვილთა დაბრუნებას, აფხაზეთში მათ ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური უფლებების რეალიზაციასა და დაცვას, დანგრეული და გადაბუგული ქალაქებისა და სოფლების აღდგენას.

ფონდი ხელს შეუწყობს აფხაზეთში ქართული ეროვნული კულტურის, ხელოვნების, თეატრის, ლიტერატურის განვითარებას, მატერიალური კულტურის ძეგლთა აღდგენას, სწავლა-განათლების და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. ფონდი განსაკუთრებულ დახმარებას გაუწევს ქვრივ-ობლებს, უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს. ფონდი იზრუნებს საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ვაჟკაცების სახელის უკვდავსაყოფად.

ფონდის იურიდიული მისამართია: საქართველოს რესპუბლიკა, ქ. თბილისი.

ფულის ჩარიცხვა შეიძლება შემდეგი მისამართით: თბილისი, ჟორჟიაშვილის ქ. № 14, „ინდუსტრიაბანკი", ანგ. № 100700812, მფო 521921, მო[illegible] ანგ. № 800166604.
სამანეთო ანგარიში 18076594 (საქტრანზიტო-სავალუტო); 18070794 (მიმდინარე-სავალუტო).

აფხაზეთი საქართველოს ტკივილია. ვისაც ეს ტკივილი აწუხებს ის თავის წვლილს შეიტანს მის განკურნებაში, რაც ამ ფონდმა დაისახა მიზნად.

ზინაიდა ძოწენიძე,
ფონდის პრეზიდენტი.

ი. სტალინის ხსოვნის საერთაშორისო საზოგადოება 9 მაისს ქ. თბილისში ვაკის პარკში აწყობს ზეიმს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად.

დასაწყისი 11 საათზე.

სპორტი

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

დედაქალაქის სპორტის სასახლეში დაიწყო ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის უძლიერესი ექვსეულის პირველი ფინალური ტური.

გთავაზობთ სასტარტო შეხვედრების შედეგებს: „ვიტა" — „აზოტი" — 100:81, „კაქტუსი" — „თორსი" 105:78, „თბილისი" — „დინამო" 101:78.

ᲛᲙᲚᲐᲕᲭᲘᲓᲘ

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მოსკოვში დასრულებულ საერთაშორისო ტურნირზე — „ოქროს დათვი" — ქართველი სპორტსმენი ზაურ ცხადაძე (აბსოლუტური წონა) ფინალში დამარცხდა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონთან, ამერიკელ ჯონ რიჩარდ ბრზენკთან და მეორე ადგილი დაიკავა. როგორც შევიტყვეთ, პირველ ეტაპზე — ქვეჯგუფში მათი ორთაბრძოლა ჩვენს მკლავჭიდელს მოუგია.

დამატებით გაცნობებთ, რომ ამავე ასპარეზობის ჩემპიონები გახდნენ გია ხაჩიძე (60 კგ) და კობა თოდაძე (90 კგ). ასევე ორი ოქროს მედალი მოიპოვეს ამერიკელებმა, ხოლო ყველაზე მეტი — სამი უმაღლესი ჯილდო გადაეცათ მასპინძლებს — რუსეთის ნაკრები გუნდის წევრებს.

ქართველ მკლავჭიდელთა გამგზავრება ამ შეჯიბრებაზე უზრუნველყო ფირმა „ბაასმა".

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ევროპის ჩემპიონთა სამშობლომ — დანიამ პირველად უმასპინძლა კონტინენტის პოპულარული საკლუბო ტურნირის გადამწყვეტ რაუნდს.

ინგლისის „არსენალმა" კოპენჰაგენში ევროპის თასების მფლობელთა თასის 1993-1994 წლების გათამაშების ფინალში დაამარცხა ამ საპატიო პრიზის შარშანდელი მფლობელი — იტალიის „პარმა" — 1:0. ერთადერთი გოლი მეთვრამეტე წუთზე ალან სმიტმა გაიტანა.

ᲕᲐᲩᲣᲥᲝᲗ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲔᲚᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘ

ფელეტონი

უცნაური ხალხი ვართ ქართველები. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გვინდოდა და გაბაზრებული ყოფა კი დავამკვიდრეთ. ახლა თბილისში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით თვითნაბად ბაზრობებს, სადაც ნემსი გნებავთ თუ აქლემი, ყველაფერი იყიდება.

თქვენ შეიძლება შემომედავოთ — არა ხართ მართალი, მე, მაგალითად, ტანკისა და თვითმფრინავის ყიდვა მინდოდა და ვერსად მივაგენიო. დაგაგვიანდათ, ბატონო! ტანკისა და თვითმფრინავის შეძენა თუ გსურდათ, აფხაზეთის ომის დროს უნდა მოგესწროთ, ახლა ასეთ საქონელს ვეღარსად იყიდით, მაგრამ სამაგიეროდ შეგიძლიათ მთლად მუქთად ჩაიგდოთ ხელში ელმავლები.

სად?

აქვე, თბილისში, ოღონდ ბაზრობაზე კი არა, რკინიგზის დეპარტამენტის პარკში (ბაზრობამდე ჯერ რკინიგზა არ გაუყვანიათ და ელმავლებს „პაკრიშკებზე" ხომ არ შეაყენებენ?). თქვენ თუ მოგერიდოთ ან საქმე არ გამოგივიდეთ, რჩევისათვის საწარმოო-სამეცნიერო კოოპერატიულ ფირმა „კომპლექსი-21"-ს მიმართეთ და ყველაფერს უმალ გაგიჩარხავთ. მან ამ დარგში (იგი მრავალდარგოვანია) ხომ მდიდარი გამოცდილება შეიძინა — ქართული ბიზნესისათვის დამახასიათებელი მოჭრილობით სახელმწიფო სტრუქტურებს „მეცნიერულად" დაუმტკიცა, რომ თუ მოხერხება და ალღო არ გღალატობთ, ფულის კეთება ჰაერისგანაც შეიძლება.

მაგალითი გნებავთ?, კი, ბატონო. შარშან ფირმამ რკინიგზის დეპარტამენტისგან 2,4 მილიონ მანეთად და 9 მილიონ კუპონად (მაშინ მანეთი და კუპონი თანაბარძალოვანი იყვნენ) შეისყიდა ექვსი საექსპლოატაციოდ უვარგისი (თურმე ჯართად ქცეული) „ვლ-II" მარკის ელმავალი, რომლებიც რკინიგზაზე თურმე ხელისკვრით გადააგორა და საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელს" 11.212 ათას მანეთად და 38.264 ათას კუპონად მიჰყიდა.

სხვაობა, ანუ თანამედროვე გაგებით „მოგება" (9,8 მილიონი მანეთი და 28,26 მილიონი კუპონი) ფირმამ ჯიბეში ჩაიჩხრიალა (ბიზნესის კანონების მიხედვით ეს მას ნაკლად კი არა, მიღწევად ეთვლება), ხოლო იგივე სხვაობა ელმავლების თვითღირებულებას დააწვა ტვირთად (ძველი ელმავლების ძარები საწარმოში ახალი ელმავლების დასამზადებლად გამოიყენეს), რის გამოც რესპუბლიკის ბიუჯეტმა 4,1 მილიონი მანეთი და 8,8 მილიონი კუპონი იზარალა.

თავის მხრივ „ელმავალმშენებელმაც" მოიწადინა ფულის გაკეთება, ის „ჯართი" ელმავლები შეაკეთა (თუ მისგან ახალი დაამზადა?) და რუსეთის გზათა მიმოსვლის სამინისტროს 234.400 ათას მანეთად მიჰყიდა.

იცოცხლეთ, სოლიდურ თანხას გამოჰკრეს ხელი, მაგრამ იქიდან საწარმოს ყულაბაში კაპიკიც რომ ვერ მოხვდა?

აბა, სად წავიდა?

კლიენტმა სამინისტრომ „ელმავალმშენებელს" შემოუთვალა — საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტს ჩემი ვალი მართებს და ეგ გაგისწორდებათო. თურმე ნუ იტყვით, იმპერია რომ დაინგრა, ყველა ყველასთან ვალში აღმოჩნდა და რუსეთში ახლა ანგარიშსწორების ასეთ მეთოდს იყენებენ. მაგრამ რკინიგზის დეპარტამენტს, იმ კუდა ხარისა არ იყოს, თავისთვის არაფერი ჰქონდა და „ელმავალმშენებელს" რას მისცემდა?

ასეა თუ ისე, მოგებული დარჩა კოოპერატივი, სახელმწიფო სტრუქტურები კი — მისგან გაცუცურაკებული. თანაც როგორი გაცუცურაკებული. რკინიგზას ელმავლეზი და ვაგონები არ ჰყოფნის, ხალხი უტრანსპორტობით გაწამებულია, აქეთ ქვეყანა თავზე გვექცევა და იქით რუსეთს შეკეთებულ-გაკრიალებული ელმავლები ვაჩუქეთ.

ეს ყველაფერი ფაქტია და მას ვეღარსად გავექცევით, მაგრამ ერთი რამ მაინც გაურკვეველია: რკინიგზის დეპარტამენტს და „ელმავალმშენებელს" შუამავალი რისთვის დასჭირდათ? იმიტომ ხომ არა, რომ უიმისოდ ერთმანეთს ვერ მოატყუებდნენ? (ელმავალი ორივემ კარგად იცოდა). „კომპლექსი-21"-მა კი ორივე მოატყუა (თუ თავი მოიტყუეს?), თანაც ისე, რომ ბიზნესის „ეთიკის" ნორმები არ დაურღვევია.

არის მეორე საკითხიც — მოტყუებულთაგან ყველაზე მეტად რომელი დაზარალდა? უნდა ვაღიაროთ, დეპარტამენტი „ელმავალმშენებელთან" შედარებით მაინც „სოლიდურად" გამოიყურება — მან ფაქტობრივად „ჯართი" ელმავლები (ექვსიდან ორზე ჩამოწერის დოკუმენტები მათი რეალიზაციიდან 5 თვის შემდეგ გაფორმდა) გულუბრყვილო კოოპერატივს მიასაღა (ელმავალმშენებლები ამაში არ მოტყუვდებოდნენ), თანაც გროშებად გაყიდული საქონლით 234-მილიონიანი ვალი გაისტუმრა (რაკი ედავებიან, როდისმე ხომ უნდა გადაეხადა?!).

კაცმა რომ თქვას, „ელმავალმშენებელმაც" თითქოს რაღაცას გამოჰკრა ხელი. ელმავლების შეკეთებით მუშახელი დაასაქმეს, დიდ ფულსაც წაეპოტინნენ, მაგრამ არ გაუმართლდათ და დოყლაპიის როლში აღმოჩნდნენ. ალბათ ამიტომაც გადააყენა თბილისის კონტროლის პალატამ საწარმოს ხელმძღვანელობა, რომელსაც ამ ფაქტთან ერთად სხვა, უამრავი დარღვევაც აღმოაჩნდა. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ ქარხნიდან 110 ტონა ფერადი ლითონი კაპიკებად გაიყიდა. ასე იძარცვა საქართველოში საწარმოები, თორემ თურქეთში გატანილ სპილენძს რომ ბათუმის პლაჟზე არ კრეფდნენ, ახლა ამას ყველა ხვდება.

და აქვე სიურპრიზიც — დაზარალებულმა „ელმავალმშენებელმა" საწარმოს თავკაცად კვლავ ნაკომუნისტარი ზურაბ ჩივაძე მოიწვია. როგორ გავიგოთ ეს? იქით ბატონ თენგიზ კიტოვანს პარლამენტში ყოფილ კომუნისტებთან გვერდით ჯდომა გულს ურევს (გაზეთი „თბილისი", 27 აპრილი, 1994 წ.), აქეთ გიგანტი საწარმოს კოლექტივი კი ასეთ არჩევანს აკეთებს. რომელია მათგან მტყუანი და რომელი მართალი?

„დაიბნენ" რკინიგზელებიც. ადრე (კომუნისტური რეჟიმის პერიოდში) კონტროლიორები იმას ედავებოდნენ ელმავლებს საექსპლოატაციო ვადაზე (20-30 წელიწადი) მეტს ამუშავებთო, ახლა იმაში ადანაშაულებენ ისინი ნაადრევად (10-13 წელიწადში) ჩამოგიწერიათო!

ისე, „ელმავალმშენებელში" საქმე რომ არ „გამსკდარიყო", ელმავლების გაყიდვა და ჩამოწერა კვლავაც შეიძლებოდა, მაგრამ რომ არავინ იცის სამომავლოდ რა მოხდება? არადა, კონტროლის პალატის კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის სამმართველო რკინიგზის დეპარტამენტში თურმე იმ ელმავლების ჩამოწერისა და რეალიზაციის კანონიერების შესწავლას აპირებს.

წინასწარ ვერაფერს განსაზღვრავ. ხომ შეიძლება კონტროლიორებმა გაყიდულ ელმავლებში „ჯართის" ნაცვლად „ოქროს ძრავები" აღმოაჩინონ? რა თქმა უნდა, შეიძლება. ქვეყანაში, სადაც ზნეობას მხოლოდ საკუთარი ჯიბის ინტერესებით კვებავენ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ოთარ ხუციშვილი.

საქველმოქმედო საზოგადოება
«ნიქარას»
ტურისტული სააგენტო
გთავაზობთ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:
— ბულგარეთი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ჰოლანდია, ლიბანი (დასვენებით).
— ფეხბურთის მოყვარულებს სამოგზაუროდ ვიწვევთ ამერიკაში მსოფლიო ჩემპიონატზე.
— ინგლისური ენის სწავლების მსურველებს, 10 წლის ასაკიდან, ვეპატიჟებით ინგლისის სამეფო სკოლაში.
დაინტერესებული ჯგუფებისათვის მოგვმართეთ:
ლერმონტოვის ქ. № 1,
ტელ: 93-66-91, 98-81-72 (დღის საათებში)
74-63-35 (საღამოს საათებში)

ფირმა «PrintShop»
თბილისი.
ვირსალაძის ქ. 8
ტელ.: 998696, 997712.



უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიით!
უმოკლეს დროში!
დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის ბეჭდებსა და შტამპებს
სავიზიტო ბარათებს, ბლანკებსა
და ფასიან ქაღალდებს
PS L.T.D

იყიდება წყლის ელექტროგამაცხელებელი
100 ლიტრიანი,
თერმორეზერვუარითა და თერმორეგულატორით,
1,2 კილოვატის სიმძლავრით.
ფასი 130 დოლარი
მოგვმართეთ: თბილისი, წერეთლის გამზირი 95-ა.
სპორტული მანეჟი. ტელ: 34-77-09, 34-42-91.



მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.
ინდექსი [illegible]